ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## 21 წლის ქართველი მამაკაცი პოლონეთში სუნამოების ქურდობისთვის დააკავეს

გვ.5




ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათი, 18 დეკემბერი, 2023 №248 (9284) ფასი: 80 თეთრი

# „ნაცმოძრაობა მკვეთრად შეფერთხილია, „ქართული ოცნებაც“ სუსტდება“




გვ.2





## გია ხუხაშვილი: „ევროკავშირმა წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო“



## „ნაციონალებში ხმას მხოლოდ სააკაშვილს აძლევენ“

გვ.3

პეტრე მამრაძე: „როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში რუსული ბაზებია, დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რუსული ჯარია განლაგებული, ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარი რთულია“



## 14 დეკემბერს დაბრკოლებები გადაილახა და საქართველომ დაანონსებული კანდიდატის სტატუსი მიიღო

გვ.4

ისტორიები

## „პრეზიდენტი გამსახურდია მზად იყო გადადგომისთვის, მაგრამ გარემოცვამ გადააფიქრებინა“



გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიშრომეთ და ერთად გავიმარჯვეთ! ჩვენ, ხელისუფლებამ და ხალხმა, დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი“



გვ.3

4 „საქართველოს ეკონომიკის 70% მოდის თბილისზე“

3 ოზურგეთში ძაღლმა ორი პატარა ბავშვი დაკბინა

4 „თუ ასე გაგრძელდება, ხელმძღვანელები მოუწოდებენ ექიმებს, ისევ ხელზე აილონ თანხა“

6 აშშ მის ტერიტორიაზე არსებული რუსული აქტივების კონფისკაციისათვის ემზადება

# „ნაცმოძრაობა მკვეთრად შეფერთხილია, „ქართული ოცნებაც“ სუსტდება“

## გია ხუხაშვილი: „ევროკავშირმა წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



***– ბატონო გია, ისტორიული და მართლაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ევროკავშირმა ჩვენი ქვეყნისთვის. პრემიერს დავესესხები, ორ ფეხზე დამდგარმა მივიღეთ კანდიდატის სტატუსი. თქვენ როგორ აფასებთ?***

– რა თქმა უნდა, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად ძალიან სახიფათო პოლიტიკისა, მე ვიტყოდი, რომ ევროკავშირმა არ დაგვიკეტა კარები. დაგვიტოვა შანსი იმისა, რომ კონსტიტუციური მოთხოვნის შესაბამისად, გავაგრძელოთ სვლა ევროპისკენ. ნამდვილად მოსალოცი ამბავია, ნამდვილად კარგი და მნიშვნელოვანია და ყველას მადლობა მინდა გადავუხადო, ვინც მცირე თუ დიდი წვლილი შეიტანა ამაში. ნამდვილად პოზიტიური ფაქტია, გარკვეულწილად, სევდანარევი. ჩვენს ხელისუფლებას რომ სწორი პოლიტიკა გაეტარებინა, ახლა ჩვენ ვიქნებოდით მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად, უკვე მოლაპარაკების ფაზაში ევროკავშირში გაწევრიანებისთვის.

***– ჩვენთან როდის გაიხსნება მოლაპარაკებების ფაზა?***

– პირდაპირ გეტყვით, თუ ასე გაგრძელდა, არც არასდროს! კანდიდატის სტატუსი იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკავშირის მხრიდან, რასაც პირობების შესრულებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. უბრალოდ, ევროკავშირმა აბსოლუტურად ლოგიკურად და სწორად იმსჯელა, რადგან თუ სტატუსს არ მოგვცემდნენ, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ უფრო მეტად ებიძგათ რუსეთის მიმართულებით. შესაბამისად, გაითვალისწინეს ეს ვითარება.

***– წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს?***

– დიახ, ეს წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. რაც შეეხება ორ ფეხზე დგომას, წარმოუდგენელი უტიფრობაა. ორ ფეხზე დგომას იცით რას ეძახის ჩვენი ხელისუფლება?! მურუსიძე რომ არ დათმო სასამართლოში, არც კორუფცია, საერთოდ არაფერი არ დათმო, დარჩა საზოგადოების წინააღმდეგ პოზიციებზე, ხელის გადაგრეხვის პოზიციაზე. მაინც გაიტანა თავისი, მიიღო სტატუსი და ამით ამაყია! წარმოიდგინე, თქვენ ვიღაცის სახლში გინდათ ცხოვრება, ის გეუბნებათ, რომ ჩემს სახლში სიგარეტს არ ეწევიან, თქვენ სიგარეტით ხელში შეაბიჯეთ ჯიუტად და ამით ამაყობთ, რომ სახლში! სადაც სიგარეტს არ ეწევიან, მე სიგარეტს ვეწევი. აი, ასეთი უტიფარი სიამაყეა. რა უხარიათ, ვერ ვხვდები.

***– ასევე, ვნახეთ „ხალხის ძალის“ სახეცვლილება, ეს დროებითი იყო?***

– ეს ადამიანები ხომ არ ატარებენ არანაირ ფასეულობებს. ჩვენ გვაქვს საქმე, სამწუხაროდ, ისეთ ხალხთან, ვისაც დილას შეუძლია დაიძახოს, გაუმარჯოს წითელ არმიას და საღამოს დაიძახოს, გაუმარჯოს ნატოს! არანაირი პრინციპები ამ ხალხს არა აქვს, დღეს ამას დაიძახებენ, ხვალ ამის საწინააღმდეგოს დაიძახებენ. შემთხვევითი იყო, თან ევროკავშირის დროშებს რომ აფრიალებდნენ და თან იგივე დღეს ე.წ. რუსული კანონის თავიდან ინიცირებაზე რომ ალაპარაკდნენ?! ევროკავშირი ჩვენი გეოგრაფიული არჩევანი ხომ არ არის, ეს არის ფასეულობითი არჩევანი. ევროკავშირი ჩვენ იმისთვის კი არ გვინდა, რომ გეოგრაფიულად ვიღაცას მივუერთდეთ, იმისთვის გვინდა, რომ გვქონდეს მეტი კეთილდღეობა და თავისუფლება, რაც არის ადამიანისთვის ყველაზე დიდი ფასეულობა. ჩვენთვის გვინდა ევროკავშირი.

***– პრეზიდენტის სცენაზე არ მიწვევით რა დაამტკიცეს?***

– თავისი ულირსობა და უტიფრობა, მეტი რა დაამტკიცეს! პრეზიდენტი ბევრად უფრო მაღლა იდგა ამ ზეიმზე და პრეზიდენტის დუმილი ბევრად უფრო მეტყველი იყო, ვიდრე მათი ლაყბობა!

***– ეს იყო ბიძინა ივანიშვილის კაპრიზი, რომ სიტყვა არ მიეცათ პრეზიდენტისთვის?***

– რა მნიშვნელობა აქვს. ფაქტია, რომ ეს სისტემა მისი შექმნილია, მისი პირმშოა ეს ყველაფერი! პასუხისმგებელიც ის არის, რა თქმა უნდა!

***– ბატონო გია, ევროკავშირის მომდევნო ნაბიჯები 2024 წლის არჩევნების შემდეგ გამოიკვეთება?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება დიდხანსაც არ გამოიკვეთოს არაფერი. თურქეთი უკვე 19 წელია კანდიდატია! ჩვენს ხელისუფლებას საამაყო ჰყავს ადამიანი, რომელიც სამიტის მსვლელობის დროს, უბრალოდ, გამოაგდეს დარბაზიდან. ის არის მათი ერთადერთი მეგობარი ევროკავშირში. ორბანი მყავს მხედველობაში. პირდაპირ გამოაგდეს დარბაზიდან. ადექი და წადიო, უთხრეს.

***– ბატონო გია, არჩევნები ვახსენეთ და რას იტყვით პრეზიდენტის როლზე ამ პროცესში? სალომე ზურაბიშვილმა უკვე ახსენა, რომ ის ფიქრობს, მონაწილეობა მიიღოს 2024-ის საპარლამენტო არჩევნებში. თქვენ როგორ გაიგეთ მისი ნათქვამი? რამდენად შეძლებს ოპოზიციის გაერთიანებას?***

– არ ვიცი, რა გითხრათ. წინასწარ პროგნოზირება ძალიან ძნელია. იმისათვის, რომ შედეგი მიიღო, უნდა იმუშაო. იმუშაო იმ სტანდარტით, რაც პოლიტიკისთვისაა დამახასიათებელი. ჯერჯერობით, ოპოზიცია ამას არ აკეთებს. თუ გააკეთებს, შანსი ძალიან მაღალია. ჩვენ ვხედავთ, რომ ამომრჩევლის უმრავლესობას აღარ უნდა აღარც ნაცი და აღარც ქოცი! ხალხი ეძებს არჩევანს. ახლა სწორი შეთავაზებაა გასაკეთებელი. ამის შეთავაზება ეზარებათ, თუ არ იციან როგორ გააკეთონ, ვერ გავიგე. ფაქტია, რომ არაფერს აკეთებენ. პრეზიდენტის როლი კი მაღალია და მნიშვნელოვანი. მან ძალიან სერიოზული პოლიტიკური კაპიტალი დააგროვა. მას არც აქვს უფლება, რომ პოლიტიკური პროცესის მიღმა დარჩეს. დანარჩენი კი გამოჩნდება რა სჯობს. ზეპოლიტიკური პოზიციიდან ჯობია პოლიტიკური სივრცის გახსნის ხელშეწყობა, თუ საკუთრივ, პირადად ჩართვა რაღაც ეტაპზე პოლიტიკურ პროცესში. ჯერჯერობით, ეს ნაადრევი იქნება, რადგან მას ჯერ არ ამოუწურავს ინსტიტუციური ლიდერის რესურსი. მას შეუძლია, ამ პოზიციიდან, ქვეყნისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთება. თუმცა, რაღაც ეტაპზე, თუ ხელისუფლებამ დაიწყო წითელი ხაზების გადაკვეთა, რატომაც არა! მერე შეიძლება ჩაერთოს კიდეც.

***– „ოცნება“ აქტიურად უვრცელებს ხმებს პრეზიდენტს, რომ სააკაშვილის შეწყალებას აპირებსო. თქვენ რამდენად გაქვთ პრეზიდენტისგან ეს მოლოდინი?***

– მე ეს ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია. ის, რომ მანევრს იტოვებს, ეს სწორია. პოლიტიკაში მანევრი ყოველთვის უნდა დაიტოვო, მაგრამ მე ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია სააკაშვილის შეწყალების საკითხი.

***– რას ფიქრობთ პრეზიდენტისა და გახარიას თანამშრომლობაზე? გახარია ამტკიცებს, რომ მარტო გადის არჩევნებზე, ეს რამდენად სწორი სტრატეგიაა?***

– ამ ეტაპზე ვინ რას ამტკიცებს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. რეალურად ჩვენ მარტის თვისთვის უნდა ველოდოთ მეტ-ნაკლებად საბოლოო კონფიგურაციების გამოკვეთას.

***– პატარა პარტიების გამსხვილება აუცილებელია, ამაზე ბევრი თანხმდება.***

– კი ასეა. მოვლენების ლოგიკა ამაზე მეტყველებს. ბევრი საინტერესო ელემენტი გამოჩნდა. ჩვენ არ ვიცით, მელია რა ადგილს დაიკავებს ამ თამაშში, სად იქნება? ესეც გადასაწყვეტია ჯერ.

***– საუბრობენ მელიასა და ხაზარაძის ტანდემზე, ამაზე რას იტყვით?***

– მე ვფიქრობ, რომ საინტერესო რგოლი იქნება ეს ქართულ პოლიტიკაში. პრეზიდენტსაც შეუძლია მათთან თანამშრომლობა, რატომაც არა!

***– უფრო შუაშისტურ ძალებთან განიხილავთ პრეზიდენტის თანამშრომლობას?***

– დიახ, ნაც-ქოცური სიმბიოზის მიღმა. შესაძლოა, რამდენიმე ფლანგზეც იყოს საუბარი.

***– არის შანსი, რომ დაიშალოს ეს ნაცქოცური სიმბიოზი?***

– სიმბიოზს ერთი თვისება აქვს, ერთი მხარე როცა სუსტდება, მეორეც ავტომატურად სუსტდება. ნაცმოძრაობა მკვეთრად სუსტდება, ჩვენ ამას ვატყობთ, ეს ავტომატურად იწვევს „ქართული ოცნების“ დასუსტებასაც. ბოლო კვლევას თუ ვნახავთ, საკმაოდ შეფერთხილა ნაცმოძრაობა და თუ დავაკვირდებით, ხელისუფლებაც შეფერთხილია. ისინი ერთმანეთს კვებავდნენ და აძლიერებდნენ. თუ ერთი დასუსტდა და დაინგრა, მეორეც დასუსტდება და დაინგრევა, ცხადია. ამით ვიღაცამ უნდა ისარგებლოს. აი, მთავარი პრობლემა სწორედ აქ გვაქვს, მოსარგებლის ფორმირება, ჯერჯერობით, ვერ მოხდა.

# პუტინი: „რუსეთი სუვერენიტეტს ძეხვის სანაცვლოდ არ დათმობს“

– რუსეთს არ შეუძლია, ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად, ძეხვის სანაცვლოდ დათმოს სუვერენიტეტი და ვინმეს სატელიტი გახდეს, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა „ერთიანი რუსეთის“ კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი იქნება სუვერენული ძალა, ან საერთოდ არ იარსებებს.

– უნდა გვახსოვდეს, არასოდეს დავივიწყოთ და ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, რომ რუსეთი ან იქნება სუვერენული, თვითკმარი ძალა, ან საერთოდ არ იარსებებს, – აღნიშნა პუტინმა.

მისი მტკიცებით, რუსეთი თავად განსაზღვრავს და შექმნის საკუთარ მომავალს.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დასავლეთის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, საზოგადოებამ და ხელისუფლების ყველა შტომ მოწიფულობა და სტაბილურობა გამოავლინა.

„ჩვენმა საზოგადოებამ და ხელისუფლების ყველა შტომ გამოავლინა სიმწიფე, ძალა და სტაბილურობა. ჩვენ ვუპასუხეთ გამოწვევებს, რადგან თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველწლიურად მივყვებით სუვერენიტეტის განმტკიცების გზას, – განაცხადა პუტინმა.

ცნობისთვის, რუსეთის მმართველი პარტია „ერთიანი რუსეთის“ კონგრესმა საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ პუტინის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი, – ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

– კენჭისყრაზე გამომაქვს წინადადება, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე 2024 წლის 17 მარტს დაგეგმილ არჩევნებში ვლადიმერ პუტინის კანდიდატურის დასახელების მხარდაჭერაზე, – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ, დიმიტრი მედვედევმა ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე.

ვლადიმერ პუტინმა გასულ კვირას განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. პუტინი რუსეთის პრეზიდენტად ოთხჯერ – 2000, 2004, 2012 და 2018 წლებში – აირჩიეს. ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების მიღების შემდეგ მან უფლება მოიპოვა, კენჭი 2024 წლის არჩევნებშიც იყაროს.

# რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება თბილისში მომავალ წელს?



დედაქალაქის საკრებულოს მერმა და მერის მოადგილეებმა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები და პროექტები წარუდგინეს. ვიცე-მერის ირაკლი ხმალაძის განცხადებით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით 131 მლნ ლარით მეტია.

მისივე თქმით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით გასაწევი ხარჯების ოდენობა წარმოადგენს 547 მლნ ლარს, რაც 2023 წელს ამ მიმართულებით გაწეულ ხარჯთან შედარებით 31 მლნ ლარით მეტია.

ირაკლი ხმალაძემ ასევე დაასახელა ის დაგეგმილი და გარდამავალი პროექტები, რომლებიც 2024 წლის განმავლობაში განხორციელდება. მათ შორისაა:

- აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც გამოყოფილია 8 მლნ ლარამდე;
- შოთა რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია – 15 მლნ ლარი;
- სამგორის რაიონში, ბურჯანაძის ქუჩის რეაბილიტაცია – 3 მლნ ლარი;
- 18-მეტრიანი ავტობუსების შეძენის პროექტისთვის – 113 მლნ ლარი; ავტობაზის მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 24 მლნ ლარი;
- დასრულდება მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეაბილიტაცია, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 2,8 მლნ ლარი, დასრულდება მეტროსადგურ „ავლაბრის“ რეაბილიტაცია, რომლისთვის დაახლოებით 2,7 მლნ ლარია გამოყოფილი;
- ვაგონების მოდერნიზაციისთვის – 10 მლნ ლარი; მთაწმინდის საბაგიროს დასრულებისთვის – 3 მლნ ლარი;
- ნაგავსაყრელისმეოთხეუჯრედისმშენებლობისთვის – 15 მლნ ლარი; მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციის მესამე ეტაპისთვის გათვალისწინებულია 11 მლნ ლარზე მეტი;
- ვერის ბაღის რეაბილიტაციისთვის – 10 მლნ ლარი; ვაკის პარკის დასრულების სამუშაოებისთვის – 10 მლნ ლარი;
- გლდანის ტბის მოსაწესრიგებლად – 5 მლნ ლარი; სამგორის რაიონში, „სამხედრო ქალაქის“ პარკის მოსაწყობად 2024 წელს გათვალისწინებულია 6 მლნ ლარი (გარდამავალი პროექტია, რომელიც ჯამში 26 მლნ ჯდება);
- დიდ დიღომში, მეორე და მეოთხე მიკრორაიონების შემაერთებელი ბულვარის მოსაწყობად გათვალისწინებულია 3,5 მლნ ლარი;
- კრწანისისრაიონში,გორგასლისქუჩაზე „სამასი არაგველის“ სკვერის მოსაწყობად – 2 მლნ ლარი;
- სოფელ დიღომსა და სვანეთის უბანში წყალარინების ქსელის მოწყობისთვის ჯამში 4 მლნ ლარი იქნება გათვალისწინებული;
- ლელვთახევშიქვათაცვენისსაწინააღმდეგო მასშტაბური სამუშაოებისთვის – 5 მლნ ლარი;
- დიღმის მასივში, მესამე კვარტალში მრავალფუნქციური სპორტკომპლექსის ასაშენებლად 5 მლნ ლარი;
- სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამუშაოებისთვის 2,3 მლნ ლარი (გარდამავალი პროექტია);
- სკეიტ პარკების მშენებლობისთვის 1 მლნ ლარი;
- №28 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი შენობის მშენებლობა – 4 მლნ ლარი;
- №71 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია – 2,3 მლნ ლარი;
- №43 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი შენობის მშენებლობა – 2 მლნ ლარი;
- №196 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია – 2 მლნ ლარი;
- №37 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია – 2 მლნ ლარი;
- №50 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი შენობის მშენებლობა – 2 მლნ ლარი;
- №211 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია – 700.000 ლარი.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაზინადარი – ვაჟა ზალაძე
ხარგამზ. ხამხ. – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ შერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

## საბერძნეთში ქურდობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეები დააკავეს



სალონიკში 5 პირისგან შემდგარი დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები დააკავეს. მათ შორის არიან საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეები.

როგორც ბერძნული მედია წერს, საქმის მასალების მიხედვით, ჯგუფის წევრები ბინის მეპატრონეებს უთვალთვალებდნენ და როცა ისინი სახლებს ტოვებდნენ, მათ ბინაში იჭრებოდნენ და ძარცვავდნენ. მედიის ცნობითვე, ისინი სპეციალურად ნაქირავებ ფართში ქმნიდნენ გასაღებების ასლებს სხვადასხვა საკეტებისთვის, მუდმივად იცვლიდნენ მანქანებს და დანაშაულს სხვადასხვა ადგილას ჩადიოდნენ.

მედიაში ვრცელდება ცნობები, რომ პოლიციის ფაილების მიხედვით, 2 წლის განმავლობაში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ჯამში 170.000 ევრო მოიპარეს.

ადგილობრივი გამოცემების მიხედვით, დაკავებულებს ბრალი რამდენიმე მუხლით აქვთ წარდგენილი, მათ შორის, დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნის, ძარცვის, ფულის გათეთრებისა და იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით. ერთ-ერთ დაკავებულს, 45 წლის კაცს, 6 წლის გოგოს გატაცებაშიც ედება ბრალი.

## 21 წლის ქართველი მამაკაცი პოლონეთში სუნამოების ქურდობისთვის დააკავეს



პოლონეთში, გდანსკში სუნამოების ქურდობისთვის 21 წლის ქართველი დააკავეს. პოლონური მედიის ცნობით, მან 37,5 ათასი ზლოტის (9.479 დოლარის) ღირებულების სუნამოები მოიპარა სხავდასხვა მაღაზიებიდან ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის – გდანსკი, კრაკოვიც, კატოვიცე, ვარშავა.

პროკურორი ეჭვმიტანილის დროებით დაკავებას ითხოვს. დანაშაული 10-წლამდე პატიმრობას გულისხმობს.

მედია წერს, რომ ოთხშაბათს, გდანსკში, პოლიციის თანამშრომლებმა სამსახურეობივი მოვალეობის შესრულების დროს შენიშნეს რამდენიმე პირი, რომლებიც ჩხუბობდნენ. აღმოჩნდა, რომ დაცვის თანამშრომლმა პირი ქურდობის დროს გამოიჭირა.

## ოზურგეთში ძაღლმა ორი პატარა ბავშვი დაკბინა



15 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში, მიუსაფარმა ძაღლმა ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაკბინა.

უფროსი ძმა 5 წლისაა და ამ დროს შინ იმყოფება, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. უმცროსი კი, 2 წლის ბიჭუნა ,ქუთაისში, რეანიმობილით გადაიყვანეს.

# „ნაციონალებში ხმას მხოლოდ სააკაშვილს აძლევენ“



### პეტრე მამრაძე: „როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში რუსული ბაზებია, დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რუსული ჯარია განლაგებული, ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარი რთულია“

ნათია ხურცილავა

**სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი, პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო პეტრე, ევროკავშირმა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მოგვცა. რამდენად შორი გზაა სრულფასოვან წევრობამდე?***

– ამ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც მსოფლიოში ცვლილებები ძალიან დინამიკურია, ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ჯერ წევრობამდე შორია. ჩვენს რეგიონში, ტექტონიკური ცვლილებები ყარაბაღის საკითხის გადაჭრით დაიწყო. შემდეგ იყო უკრაინა. ჩვენ თვალწინ იბადება ახალი ეპოქა.

როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში რუსული ბაზებია განთავსებული, დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რუსული ჯარია განლაგებული, ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარი, ალბათ, რთულია, მაგრამ ეპოქა იცვლება. არავინ იფიქრებდა, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი მოაგვარებდნენ ყარაბაღის პრობლემას. თურქეთმა თქვა, პრობლემა გადაიჭრება და გადაიჭრა. რუსეთმა კი ხმა არ ამოიღო, ხელი არ გაანძრია. ასე რომ, ყველაფერი არის მოსალოდნელი.

არავინ იფიქრებდა, რომ გაყოფილი გერმანია ერთ მშვენიერ დღეს გაერთიანდებოდა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე დღეში გაერთიანდა. გერმანიის გაერთიანება, სხვა ყველაფერთან ერთად, ეპოქამ მოიტანა. ახლაც ეპოქის სურათი და რეალობა იცვლება. ამიტომ არაფერია გამორიცხული.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნატოს მიმართულებითაც იყოს წინსვლა.

***– რა შემთხვევაში?***

– არავინ იფიქრებდა, რომ ფინეთი ნატოში გაწევრიანებას მოინდომებდა და უკვე წევრი სახელმწიფო გახდებოდა. დღეს, ფინეთს ისეთი ჯარი ჰყავს, ბევრი ნატოს დიდი ხნის წევრი სახელმწიფო ინატრებდა.

ფინეთისთვის არავითარი მაპი არ მიუციათ, მაგრამ ის ემზადებოდა, ძლიერ ჯარს აშენებდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ადრე საფრანგეთისა და გერმანიისთვის რომ გეკითხათ, ფინეთი უნდა მიიღოთ ნატოში და ნატო უნდა გაფართოვდესო, ალბათ, ყურებს არ დაუჯერებდნენ. ახლა, ეს რეალობაა.

***– ახლა გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის გაფართოების იდეით გამოდიან.***

– დიახ. ამას მიაღწია პუტინმა. ძალიან მნიშვნელოვანია სტრატეგიული მოთმინება.

***– 2024 წლის არჩევნებზე მინდა გკითხოთ. როგორი შეიძლება იყოს ოპოზიციის შედეგები?***

– ასეთი სუსტი და დაშლილი ოპოზიცია, არასდროს ყოფილა. მეტიც, არცერთი მათგანი არ იმსახურებს ოპოზიციის სტატუსს. ერთხელ საქართველოში ვიზიტით მყოფმა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა, როდესაც პარლამენტში ოპოზიციას ხვდებოდა, მე მაშინ დეპუტატი გახლდით, თქვა – ოპოზიცია ეწოდება ეროვნული, სახელმწიფო ინტერესების ერთგულებს, მის დამცველებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ სხვა სახელი ჰქვიათო. თავი შეიკავა რეალურად, რა ჰქვიათ ასეთ ადამიანებს. თუმცა, ცნობილია, რაც ჰქვიათ.

***– ნაციონალური მოძრაობა შეძლებს ამ არჩევნებზე ისევ მეორე ადგილი აიღოს?***

– ამის თქმა ძალიან რთულია. საქართველოში პოლიტიკა ძალიან პერსონიფიცირებულია. ყველაფერს პერსონები განსაზღვრავენ და არა პარტიების იდეოლოგია, მათი საარჩევნო პროგრამა. ამიტომაც არის ჯერ პოლიტიკოსების გვარი და შემდეგ პარტიის სახელწოდება.

საქართველოში არჩევნების ბედი ბოლო ერთ თვეში ან ბოლო ორ კვირაში წყდება. ამის ნათელი მაგალითია 2012 წლის არჩევნები, როდესაც ყველაფერი ერთ საღამოს შეიცვალა, როდესაც ციხის კადრები გავრცელდა. თვითონ ბიძინა ივანიშვილიც არ ელოდა, მას ეს პრესასთან აქვს ნათქვამი, რომ ასეთი უმრავლესობით მოვიდოდა ხელისუფლებაში. ამიტომ, დღეს მიჭირს ამაზე საუბარი, რა შეიძლება მოხდეს ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებით. ნაციონალური მოძრაობის მიერ აღებული ყველა ხმა მიხეილ სააკაშვილის პირადად აღებული ხმებია. ერთ-ერთ არჩევნებზე სააკაშვილმა 527 ათასი ხმა აიღო, ნახევარ მილონზე მეტი ხმა. ყველა ხმა პირადად სააკაშვილისთვის იყო მიცემული. დღეს ეს მოცემულობა ცოტათი შეცვლილია, რაც არაჟნებთან ერთად იმგზავრა და შემოვიდა საქართველოში, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამომრჩეველი მხოლოდ მას აძლევს ხმას და სხვას არავის ნაციონალურ მოძრაობაში. ამიტომაც იყო დიდი დოლი გამართული ხაბეიშვილისა და სხვების მხრიდან, თუ ვინ დაიხსნიდა მას ციხიდან.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიშრომეთ და ერთად გავიმარჯვეთ! ჩვენ, ხელისუფლებამ და ხალხმა, დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი“



– ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიშრომეთ და ერთად გავიმარჯვეთ! ჩვენ, ხელისუფლებამ და ხალხმა, დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც მთავრობის მეთაური ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს გზა არ იყო იოლი და ბევრი სირთულე იქნა გადალახული აღნიშნული შედეგის მისაღწევად.

– მოგესალმებით, ჩემო საყვარელო ხალხო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩემო ძმებო და დებო! პირველ რიგში, მე მინდა, მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. გილოცავთ კანდიდატის სტატუსის მონიჭებას! ჩემთვის დიდი პატივია თქვენ წინაშე სიტყვით გამოსვლა. მე გილოცავთ ამ მართლაც ისტორიულ მოვლენას, ისტორიულ გადაწყვეტილებას და ისტორიულ გამარჯვებას, ჩემო მეგობრებო! ეს ისტორიული გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ჩვენს დაუმარცხებელ, გაუტეხელ, ამაყ და თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს! დიახ, ჩემო მეგობრებო, ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიშრომეთ და ერთად გავიმარჯვეთ. ჩვენ, ხელისუფლებამ და ხალხმა, დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ჩვენ დავიმსახურეთ ეს გამარჯვება. ჩვენ ვიშრომეთ და ჩვენ ვიბრძოლეთ ქართველი ხალხის სახელით, თქვენი სახელით, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის და ჩვენ ერთად მოვიპოვეთ ეს გამარჯვება! დიახ, ჩემო მეგობრებო, ჩვენ არ დავდექით ცალ ფეხზე და არ დავდექით მუხლის ჩოქებზე, არამედ ჩვენ დავდექით მტკიცედ, ღირსეულად და მოვიპოვეთ ეს გამარჯვება. მე მინდა გითხრათ, რომ ეს გზა, რა თქმა უნდა, არ იყო იოლი. ჩვენ ძალიან ბევრი განსაცდელი გავიარეთ, ძალიან ბევრი სირთულე შეგვხვდა ამ გზაზე, მაგრამ ჩვენ ღირსეულად და მტკიცედ გავიარეთ ეს გზა და მოვედით დღევანდელობამდე. ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ, ჩვენ ერთად დავამარცხეთ ჩვენი ქვეყნის შიდა თუ გარე მტრები, ის მოწინააღმდეგე ძალები, რომლებიც ებრძოდნენ ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ჩვენ ასევე თავიდან ავიცილეთ მთავარი განსაცდელი –- ომი და უბედურება, შევინარჩუნეთ მშვიდობა, დავიცავით ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა, გავაძლიერეთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დღეიდან საქართველო ევროპული ქვეყანა გახდა.

– 14 დეკემბერი და დღევანდელი დღე შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც ამაყი და ღირსეული ქართველი ერის დამსახურებული გამარჯვების ზეიმის დღე. დღეიდან საქართველო ევროპული ქვეყანა გახდა.

კიდევ ერთხელ, მე მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ მეგობრებს; ჩვენს მხარდამჭერებს; ჩვენს ამერიკელ მეგობრებსა და გულშემატკივრებს; ევროკავშირის ელჩს, რომელიც აქ გვესწრება; ევროკავშირის ელჩებს; ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ამ სამართლიან და ისტორიულ გადაწყვეტილებას. გუშინ მე პირადად გადავეცი მადლობა ჩვენს ევროპელ მეგობრებს, ჩემს კოლეგებს, ლიდერებს და მივიღე მათი მოლოცვები. კიდევ ერთხელ მადლობა ყველას და მადლობა თქვენ, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო ხალხო, ჩემო მეგობრებო, დებო და ძმებო. მადლობა მინდა ვუთხრა კიდევ ერთხელ ჩვენს ერთიან, ძლიერ გუნდს. ყველა საჯარო მოხელეს მინდა მადლობა ვუთხრა, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ წარმატების და ამ გამარჯვების მოპოვებაში.

ახლა ჩვენ წინ დიდი გამარჯვება გველოდება, ჩვენ უნდა მოვემზადოთ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებისთვის. უფლის ნებით, ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და ავიხდინოთ თითოეული ქართველის და ამ მიწაზე მცხოვრები თითოეული მოქალაქის მთავარი ოცნება, რომ ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ ევროპულ სახელმწიფოში.

კიდევ ერთხელ, მე მინდა ყველას გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მხარდაჭერისთვის. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, ჩვენი საქართველოს მფარველი, ჩვენი ხალხის მფარველი. გაუმარჯოს ერთიან საქართველოს. დიდი მადლობა! – განაცხადა პრემიერმა.

# 14 დეკემბერს დაბრკოლებები გადაილახა და საქართველომ დაანონსებული კანდიდატის სტატუსი მიიღო

მარიამ მჭედლიშვილი

## ისტორიული გადაწყვეტილება

საქართველომ დაპირებული კანდიდატობა მიიღო. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა, 14 დეკემბერს მხარი დაუჭირეს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას. 8 ნოემბერს ამის თაობაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა ევროკომისიამ.

ამის გამო 15 დეკემბერს თბილისის ცენტრში ზეიმი გაიმართა. ხალხი ნანატრ გადაწყვეტილებას დედაქალაქის ქუჩებში არაფორმალურად ჯერ კიდევ 14 დეკემბრის ღამით აღნიშნავდა. საზოგადოებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიულოცეს უმაღლესი თანამდებობის პირებმა, პოლიტიკოსებმა, ვროკავშირის მაღალჩინოსნებმა, წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა, დიპლომატებმა, ოფიციალურმა ვაშინგტონმა, ასევე უკრაინისა და მოლდოვას პირველმა პირებმა. განცხადება გაავრცელა კათოლიკოს-პატრიარქმა. „ქართული ოცნებისა“ და „ხალხის ძალის“ ლიდერები ამას ხელისუფლების დამსახურებად აცხადებდნენ და იმეორებდნენ, რომ საქართველომ სტატუსი მიიღო „ორ ფეხზე დგომით“ და მას არც დასჭირვებია „ცალ ფეხზე დადგომა“. ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ კანდიდატობის სტატუსი მისცეს ხალხს და არა ხელისუფლებას, რომელიც ამ პროცესს ხელს უშლიდა.



საქართველოს გარდა, გაფართოება შეეხოთ უკრაინას, მოლდოვას, ბოსნია-ჰერცეგოვინას. ამ ქვეყნებთან მოლაპარაკებების პროცესი გაიხსნა. არსებობს მოლოდინი, რომ საქართველო მომავალ წელს დაეწევა უკრაინასა და მოლდოვას და გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების პროცესი სამივე სახელმწიფოს შეეხება. მანამდე საქართველოს 9 რეკომენდაცია, ანუ დათქმა აქვს შესასრულებელი.

**პრემიერი ღარიბაშვილი:**

– 14 დეკემბერი ჩაიწერება, როგორც ისტორიული თარიღი. საქართველო დღეიდან არის ევროპული სახელმწიფო. საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, საქართველოს მოქალაქენო. ეს არის ჩვენი შრომის, ბრძოლის შედეგი.

**პრეზიდენტი ზურაბიშვილი:**

– ქართველი ხალხის მონდომების გარეშე ის მიღწევა, რასაც კანდიდატის სტატუსი ჰქვია, არ იქნებოდა.

მადლობა მინდა ვუთხრა კიდევ უკრაინის პრეზიდენტს. ახლა ვესაუბრე ვოლოდიმირ ზელენსკის და ეს არის მისი ხალხის ძალიან დიდი დამსახურება. მინდა მივულოცო ასევე მაია სანდუს, რომელმაც გაუძლო უდიდეს შეტევებს. ეს არის ძალიან დიდი მიღწევა და ეს უნდა შევიგნოთ, დავაფასოთ ბოლომდე გავატაროთ. რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ყველას, ვინც დღეს ვამბობთ, რომ ერთად მივაღწიეთ ამას.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი მეთიუ მილერი:**

– შეერთებული შტატები მიესალმება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას, ევროკავშირის გაფართოების შესახებ. ეს არის ისტორიული მომენტი ევროპისთვის და ევროატლანტიკური პარტნიორობისთვის. .აღნიშნული გადაწყვეტილება აძლევს იმედსა და სტიმულს ამ ქვეყნებს და მათ ხალხს, გააგრძელონ საჭირო რეფორმები.

ბოლო ხანს გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, მიიღებს თუ არა საქართველო კანდიდატობას 14-15 დეკემბრის სამიტზე. მართალია, საქართველოს მიმართ ევროკავშირის წევრებისა და ხელმძღვანელობის დამოკიდებულება არ შეცვლილა, მაგრამ დაბრკოლება მაინც წარმოიშვა. პრეტენზიები უნგრეთმა უკრაინის მიმართ გამოთქვა. უნგრეთის პრემიერმა მოითხოვა უკრაინის საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება. ორბანი წინააღმდეგი იყო, როგორც უკრაინის შემდგომი ევროინტეგრაციის, ისე მისთვის ევროკავშირის დახმარების გამოყოფის. ვინაიდან ევროკავშირის გაფართოება ერთიან პაკეტად განიხილებოდა, გამოითქმებოდა შეშფოთება, რომ უკრაინასთან ერთად საქართველოს საკითხიც გადავადდებოდა.

14 დეკემბერს დაბრკოლებები გადაილახა და საქართველომ დაანონსებული კანდიდატის სტატუსი მიიღო.

13 დეკემბერს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს ორბელიანების სასახლეში გადაეცათ საქართველოში შეგროვებული ხელმოწერები. ხელმოწერები პრეზიდენტის ინიციატივით შეგროვდა კამპანიის ფარგლებში „ჩვენი ხმა ევროპას“. ცერემონიალს პოლიტიკოსებიც დაესწრნენ. მმართველმა გუნდმა პრეზიდენტის მიწვევა არ მიიღო და შეხვედრაზე არ მივიდა.

სამაგიეროდ, სალომე ზურაბიშილი არ გამოაკლდა ირაკლი ღარიბაშვილის მიერ 15 დეკემბერს ორგანიზებულ აქცია-კონცერტს თავისუფლების მოედანზე.

პრეზიდენტმა თავისუფლების მოედანზე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა, სიტყვით კი არ გამოსულა. საზეიმო ღონისძიებამდე უმრავლესობის ლიდერები სალომე ზურაბიშვილისა და ოპოზიციის კრიტიკას აგრძელებდნენ.

– რადიკალური ოპოზიცია ყველაფერს აკეთებდა, რომ საქართველოს არ მიეღო სტატუსი. ამ საბოტაჟის ავანგარდში იყო სალომე ზურაბიშვილიც. ასეთ ადამიანებს არაფერი ესაქმებათ ღონისძიებაზე, – ამბობდა საზეიმო აქცია-კონცერტამდე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

• • •

## ოკუპაციის მორიგი მსხვერპლი

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ ადამიანების ხოცვა, გატაცება და დატერორება გრძელდება.

გასულ კვირაში ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში კიდევ ერთი შემზარავი შემთხვევა მოხდა, რომელსაც თემურ კირბაიას დაღუპვა მოჰყვა.

თემურ კირბაიას გალის რაიონში საოკუპაციო რეჟიმის მილიცია ფიზიკურად გაუსწორდა. კირბაია საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ოკუპაციის მორიგი მსხვერპლი შაბათს დაკრძალეს.

ოპოზიციონერმა დეპუტატებმა (კერძოდ, ხატია დეკანოიძემ) მოითხოვეს კირბაიასა და გინტურის საქმეზე ერთიანი რეზოლუციის მიღება. ამას უმრავლესობა არ დაეთანხმა. კირბაიას მკვლელობაზე ბევრი განცხადება გაკეთდა.

**მიხეილ სარჯველაძე, „ქართული ოცნება“:**

– არცერთი ასეთი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება. ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ნაბიჯი უკან არ იქნება.

**პაატა დავითაია, „ევროპელი დემოკრატები“:**

– აფხაზეთში მიდის ეთნიკური წმენდა ძალადობრივი გზით. ოკუპაციასთან გამკლავების გზები არც მმართველ პარტიას და არც ოპოზიციონერ დეპუტატებს არ გააჩნიათ. დღეს აფხაზეთში იღებენ კანონს. ეს კანონი მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი მოსახლეობა გააააფხაზონ, გადაუკეთონ აფხაზურად გვარები და აფხაზური პასპორტები ჰქონდეთ.

**აკაკი ბოზოხიძე, „ევროპული საქართველო“:**

– პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება საოკუპაციო რეჟიმს, მაგრამ პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ხელისუფლებასაც იმ დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, რაც ახალისებს მსგავს მოქმედებებს. „ევროპულმა საქართველომ“ ადრევე წარმოადგინა სამოქმედო ბერკეტების ნუსხა, რომელიც (სურვილის შემთხვევაში) საქართველოს ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, დაიცვას არათუ საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის უფლება, არამედ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებიც კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

**ანა დოლიძე, „ხალხისათვის“:**

– ჩვენი პარტია უკვე დიდი ხანია ითხოვს, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლებამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა გალის მოსახლეობის უსაფრთხოება იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი. ეს საკითხი არაერთხელ დავაყენეთ, მაგრამ უშედეგოდ.

• • •

## პრეზიდენტის კიდევ ერთი შეუთანხმებელი ვიზიტი ევროპაში

პრეზიდენტი ზურაბიშვილი წინა კვირის დასაწყისში ჩეხეთში ჩავიდა. ის ჩეხეთის პრეზიდენტმა პერტ პაველმა პრაღის სასახლეში მიიღო.

ეს ვიზიტიც, წინა ვიზიტების მსგავსად, არ ყოფილა შეთანხმებული მთავრობასთან. ამის გამო მმართველი გუნდისგან საყვედურები ისმოდა.

შეგახსენებთ, რომ მთავრობისგან ნებადაურთველი პრეზიდენტის ვიზიტიები საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის დარღვევად მიიჩნია. პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ვერ დაგვირგვინდა იმის გამო, რომ პარლამენტში ამისათვის საჭირო ხმები ვერ მოგროვდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ამ ნაბიჯს უწოდა „არა მხოლოდ კონსტიტიციის, არამედ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირდაპირი, უხეში და ღია დარღვევა“.

მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილის მხრიდან კონსტიტიციის დარღვევის პანდორას ყუთის გახსნით ის „კარგავს უფლებას, სხვას მიუთითოს კონსტიტუციის დარღვევაზე. თუ ის ღიად, განზრახ არღვევს კონსტუტუციას სხვა კონსტიტუციური ორგანოების მიმართ, მას აღარ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, რომ მის მიმართ არ დაირღვეს კონსტიტუცია.“

შალვა პაპუაშვილის დასკვნით, სალომე ზურაბიშვილი არის ინსტრუმენტი მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნისათვის.

გასულ კვირაში სააკაშვილის შეწყალება-არშეწყალების თემა ისევ აქტუალური გახდა. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მოქმედი პრეზიდენტი ყოფილს შეიწყალებს.

• • •

## „აბა, კიდევ გაბედეთ რუსული კანონის შემოტანა!“

მარტის საპროტესტო ტალღის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობა იძულებული გახდა, „უკან წაეღო“ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი ე.წ. უცხოური გავლენის, იგივე აგენტების შესახებ, რომელსაც „რუსულ კანონს“ უწოდებენ.

გასულ კვირაში უცხიური აგენტურის თემა პოლიტიკურ დღის წესრიგში დაბრუნდა.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა „ხალხის ძალიდან“ დიმიტრი ხუნდაძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ ევროკავშირი (ევროკომისია) აკრიტიკებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და მოითხოვს „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ ეკვივალენტის შექმნას. მან მოიყვანა ციტატა, სადაც საუბარია, რომ „არსებობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს ფარად იყენებენ... გვჭირდება კონტროლის გაძლიერება და ხარვეზების აღმოფხვრა. მხარს ვუჭერთ მკაფიო სტანდარტებსა და გამჭვირვალე წესებს“.

– აბა, გაბედეთ და კიდევ შემოიტანეთ რუსული კანონი. ვნახოთ, რა მოხდება, – მიმართა ხუნდაძეს დეპუტატმა „ლელოდან“ ანა ნაცვლიშვილმა.

მედიასთან კომენტარებში ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ხუნდაძის პირით მმართველი ძალა საქართველოსთვის მნიშვნელოვან მომენტში (ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღების წინ) ასრულებს კრემლის დავალებას.

ფრაქცია ნაცმოძრაობის თავმჯდომარის, თინათინ ბოკუჩავას მოსაზრებით, ხელისუფლება ზეწოლას ახდენს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებმაც მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ მომავალ არჩევნებს.

ეკონომიკა

## ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტი თანხა გადაირიცხა საქართველოდან

2023 წლის ნოემბერში, საქართველოდან საზღვარგარეთ 31,3 მლნ აშშ დოლარი (84,6 მლნ ლარი) გადაირიცხა, რაც 2022 წლის ანალოგიური თვის მაჩვენებელზე, 0,5%-ით ნაკლებია.



ეროვნული ბანკის მონაცემებით, გასულ თვეში ყველაზე მეტი თანხა გადაირიცხა თურქეთში, რომელზეც გადარიცხვების დაახლოებით 23% მოდის, შემდეგია აზერბაიჯანი 11,9%-ით და რუსეთი – 11,4%-ით.

უფრო კონკრეტულად, იმ ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც 2023 წლის ნოემბერში ყველაზე მეტი თანხა გადაირიცხა ასე გამოიყურება:

თურქეთი – 7,051 მლნ აშშ დოლარი; აზერბაიჯანი – 3,689 მლნ აშშ დოლარი; რუსეთის ფედერაცია – 3,556 მლნ აშშ დოლარი; უკრაინა – 2,322 მლნ აშშ დოლარი; საბერძნეთი – 1,587 მლნ აშშ დოლარი; უზბეკეთი – 1,518 მლნ აშშ დოლარი; აშშ – 1,296 მლნ აშშ დოლარი; ყაზახეთი – 1,198 მლნ აშშ დოლარი; იტალია – 966 ათასი აშშ დოლარი; პოლონეთი – 908.5 ათასი აშშ დოლარი;



## „საქართველოს ეკონომიკის 70% მოდის თბილისზე“

ეკონომისტი ოთო აბესაძე თბილისში საცობების თემას ეხმაურება. მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს მოსახლეობის 44% ცხოვრობს თბილისში, საქართველოს ეკონომიკის 70% მოდის თბილისზე, პოლიტიკური ცენტრი არის თბილისი და რატომ გიკვირთ საცობები?

არ ხდება ეკონიმიკის გადატანა თბილისიდან რეგიონებში, რაც შიდა მიგრაციას შეამცირებს.

არ ხდება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, ანუ რეგიონში გამომუშავებული ფული არ რჩება რეგიონის ბიუჯეტში და მოდის ცენტრალურში.

ყველა სამთავრობო სტრუქტურა არის თბილისში.

ამას ემატება ტექ.ინსპექტირების გაუმართავი სისტემა (ყველას და ყველაფერს შეუძლია ტექ.ინსპექტირების გავლა), არ ინერგება ევრო 5 და ევრო 6 სტანდარტი და არ ხდება პროგრამირებით მარჯვენა საჭიანი მანქანების ამოღება ბაზრიდან (ესეც ევრო რეგლამენტია)

მოკლედ, ნუ გიკვირთ საცობები, – წერს ოთო აბესაძე.

## „თუ ასე გაგრძელდება, ხელმძღვანელები მოუწოდებენ ექიმებს, ისევ ხელზე აიღონ თანხა“

რა ხდება DRG სისტემიდან გამოსვლის შემთხვევაში და რაშია ამ პრობლემიდან გამოსავალი – გადაცემაში „საქმე“ ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარემ, სალომე ლოლუამ ისაუბრა.

– როდესაც ორსულს სურს, რომ თავად გადაიხადოს მშობიარობის საფასური, პრობლემის წინაშე ვდგებით ამ შემთხვევაშიც: კლინიკები იგივე თანხად არ ემსახურებიან პაციენტს, რაც საყოველთაო ჯანდაცვის სისტემამ დაადგინა. ამ დროს 1.221 ლარზე გაცილებით მეტი ჯდება მშობიარობა. შესაძლოა, ამ თანხამ 3.000 ლარსაც მიაღწიოს. ხოლო თუ მშობიარის ჯანმრთელობა დამძიმდა, რეანიმაციული მომსახურება ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ ექიმები ურჩევენ, რომ არ თქვან უარი DRG სისტემაზე, თუმცა, ზოგს მაინც გამოსვლა უნდა ამ სისტემიდან, – აცხადებს სალომე ლოლუა.



მისი თქმით, გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის რამდენიმე: თუ ჯანდაცვის სამინისტრო ფიქრობს, რომ 1.221 ლარი არის საკმარისი იმისთვის, რომ ამაში ჩადებული იყოს ექიმის აყვანის თანხა, მაშინ დაავალოს კერძო სექტორს, რომ პროცენტული მაჩვენებლით გადაუხადოს ექიმს თანხა ამ 1.221 ლარიდან.

– პირველ რიგში, ექიმს, რომელიც აქტიურ საქმიანობაშია, საშუალოდ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. ყოველწლიურად სახელმწიფო ავალდებულებს ექიმს, რომ კვალიფიკაცია აიმაღლოს და გარკვეული კურსები გაიაროს. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ამას ექიმი საკუთარი ჯიბიდან იხდის, ანუ ამაზე არც კლინიკა ზრუნავს და სახელმწიფო უწყებები. ამიტომ, შესაძლებელია, რომ 10-წლიანი გამოცდილების მქონე ექიმისთვის ამ 1.221 ლარიდან 20% დაწესდეს, 15-წლიანი – 30% და ა.შ. ჯანდაცვის სამინისტროს აქვს ამისი ბერკეტი. ვნახოთ, რამდენი სამშობიარო სახლი დაიხურება ამის შემდეგ.

მეორე, ჯანდაცვის სამინისტრომ ისევ ლეგალური გახადოს ექიმის აყვანის თანხა. თვითონ მიიღოს ორსულმა გადაწყვეტილება, მორიგე ბრიგადასთან იმშობიარებს თუ კონკრეტულ ექიმთან.

მესამე, თუ ასე გაგრძელდება, კლინიკების უმეტესობა დაიხურება, ხოლო რაც დარჩება, ხელმძღვანელები მოუწოდებენ ექიმებს, ისევ ხელზე აიღონ თანხა. სხვა გამოსავალი აღარ რჩება, – აცხადებს ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე.

სალომე ლოლუას თქმით, ქვეყნის მასშტაბით 7 მესამე დონის სამშობიარო ფუნქციონირებს – 5 მათგანი თბილისში, 1 ბათუმში და 1 ქუთაისში.

მესამე დონის სამშობიაროები ისეთ მძიმე მშობიარეებს იღებენ, როგორებიც არიან ონკო პაციენტები, შაქრიანი დიაბეტის მქონეები და ა.შ. სახელმწიფო მათაც ავალდებულებს, რომ 1221,92 ლარად მოემსახუროს პაციენტებს, რომლებსაც გაცილებით მეტი კვლევა და შესაბამისად, ფინანსები სჭირდებათ.

# „პრეზიდენტი გამსახურდია მზად იყო გადადგომისთვის, მაგრამ გარემოცვამ გადააფიქრებინა“

**გაგრძელებთ ინტერვიუს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან, რომელიც ჟურნალმა „გუმბათმა“ გამოაქვეყნა.**

*– ბატონო თენგიზ, როგორ გაგრძელდა პროცესები რუსთაველზე ტყვიის გავარდნის შემდეგ?*

– დილით როცა დავადგინეთ, რომ პრეზიდენტი გამსახურდია საერთოდ არ იყო მთავრობის სახლში მისული და ეს სამხედრო აქცია პრეზიდენტის ბრძანებით არ დაწყებულა, ვცდილობდით, ხელისუფლების წარმომადგენლებს დავკავშირებოდით.

22 დეკემბერს, დაახლოებით 12-ის ნახევარზე, ჩემთან თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესო ქუთათელაძე მოვიდა. ჩვენ სასტუმრო „თბილისში“ ვიმყოფებოდით. მან მითხრა, რომ მოსული იყო საკუთარი ინიციატივით. არც პრეზიდენტის, არც უზენაესი საბჭოს და არც მთავრობის მანდატი ოპოზიციასთან მოლაპარაკების ჩატარების თაობაზე მას არ გააჩნდა.

ამ დროისთვის, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 4 ადამიანი იყო დაღუპული და 15 დაჭრილი. მე ბესო ქუთათელაძეს ვუთხარი, რომ სისხლისღვრის დაუყოვნებლივი შეწყვეტისთვის საჭიროა გამსახურდია გადადგეს და თბილისი დატოვოს. ქუთათელაძე დამპირდა, რომ ოპოზიციის ამ მოთხოვნას დაუყოვნებლივ გადასცემდა პრეზიდენტს და შემატყობინებდა მის გადაწყვეტილებას. რადგან ტელეანძას საჩხერის ბატალიონი იცავდა, რომელიც ქუთათელაძის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ვთხოვე მას, გაეთიშა ტელეანძა, რომელიც ცრუ, ცალმხრივ ინფორმაციას ავრცელებდა. ბესომ მაშინვე დარეკა ტელეანძაზე და იგი გაათიშინა. ქუთათელაძე მთავრობის სახლის ბუნკერში დაბრუნდა.

დაახლოებით ნახევარ საათში ბესო ქუთათელაძე ისევ მოვიდა სასტუმრო „თბილისში“ და შემატყობინა, რომ ზვიად გამსახურდია დათანხმდა ოპოზიციის მოთხოვნას გადადგომის და თბილისის დატოვების შესახებ და მას დაავალა, შეემუშავებინა უსაფრთხოების გარანტიები და თბილისის დატოვების დრო და მექანიზმი.

*– როგორი იყო ეს მექანიზმი?*

– ჩვენ შევიმუშავეთ შემდეგი სქემა: ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლები პირები თბილისს დატოვებდნენ ტუ-154 თვითმფრინავით და ბათუმში გაფრინდებოდნენ. უნდა გახსნილიყო გზა მის სახლამდე გალის ქუჩაზე, აუცილებელი ნივთების წასაღებად. შევთანხმდით, რომ მე 16 საათზე გავიდოდი სამხატვრო გალერეასთან. ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად, ბესო ქუთათელაძის თანხლებით უნდა გამოსულიყო მანქანით მთავრობის სახლიდან სამხატვრო აკადემიასთან. მე უიარაღოდ ვჯდებოდი მათ მანქანაში და ვაცილებდი აეროპორტამდე.

პრეზიდენტს თავის მხრიდან მიჰყვებოდა ერთი ავტობუსი თანმხლები პირებით და 5 მსუბუქი ავტომანქანა, მისი დაცვის წევრებით. ხოლო ოპოზიციის მხრიდან ავტოკოლონას აეროპორტამდე აცილებდა შეიარაღებული რაზმი, 5 მსუბუქი ავტომანქანით. ტრასაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდა გია გულუას.

ბესო ქუთათელაძემ მთხოვა, პირადად დამერეკა პრეზიდენტთან და შემეტყობინებინა მისთვის შემუშავებული ვარიანტი. გამსახურდია დათანხმდა შეთავაზებულ პირობებს და მთხოვა, რომ შვილებს დატოვებდა თბილისში პირადად ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ. მან თბილისიდან გაფრენის დროის 22 საათამდე გადატანა მოითხოვა, მეუღლის შეუძლოდ ყოფნის მიზეზით. მე დავთანხმდი მის ამ მოთხოვნას.

ოპოზიციის მხრიდან საკმაოდ ბევრნი თვლიდნენ, რომ გამსახურდია გვატყუებდა და დროის გაყვანას ცდილობდა. გაიცა ორმხრივი ბრძანება ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტის თაობაზე.

*– რომელ საათზე გაიცა ბრძანება ცეცხლის ორმხრივი შეწყვეტის შესახებ?*

– გამსახურდია რომ ჩვენს პირობებს დათანხმდა, ეს ხდებოდა დაახლოებით თორმეტზე, პირველის ნახევარზე. სწორედ მაშინ გაიცა ორმხრივი ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ანუ რუსთაველზე ცეცხლის გახსნის შემდეგ სულ რაღაც 4 საათი იყო გასული, რაც ორივე მხარის ხელმძღვანელობამ ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტის შესახებ ბრძანება გასცა და ეს ბრძანება კეთილსინდისიერად შესრულდა. არცერთი გასროლა, სანამ მერე ეს მოლაპარაკება არ დაირღვა, არ ყოფილა.

❖ ❖ ❖

იმის შესახებ, თუ რატომ და როგორ გადაწყვიტა ბესო ქუთათელაძემ შუამავლის მისიის შესრულება, დაწვრილებითაა აღწერილი მის ჩანაწერებში. ეს ძალიან საინტერესო ჩანაწერებია და მისგან ამონარიდს გთავაზობთ:

„მეორე მხარესთან დაკავშირება აუცილებელი გახდა. ვიცოდი, რომ პრეზიდენტი ამის ნებას არ დამრთავდა. ამიტომ ჩემი განზრახვა ჩემი მეომრების ერთ ჯგუფს და სამტრედიის პრეფექტს, ზვიად ძიძიგურს გავანდე. მან მხარი დამიჭირა და თეთრ ხალათებში გამოწყობილები სასწრაფო მანქანით გავემართეთ სასტუმრო „თბილისისკენ“. თენგიზ კიტოვანის ნახვა გვინდოდა. გვითხრეს, კიტოვანი თბილისის ზღვაზეა და აქ მხოლოდ თენგიზ სიგუა იმყოფებაო. ვითხოვეთ მასთან შეხვედრა. შევხვდით კიდეც. ჯერ მრავალრიცხოვან დამსწრეებთან ერთად, შემდეგ კი ერთი-ერთზე.

შევამჩნიე, რომ, თენგიზ სიგუას გარდა, ყველანი უნდობლობით მეკიდებოდნენ. ზოგმა ისიც კი მითხრა, რომ ამით დროის გაყვანას ვცდილობდით. თენგიზ სიგუას ავუხსენი, რომ პრეზიდენტის უნებართვოდ ვიყავი მისული. მან მითხრა, ტელევიზია მხოლოდ თქვენს ხელთაა და საზოგადოებას ცალმხრივ ინფორმაციას აწვდითო. ისიც დაამატა, თუ მართლა არ ვიყავი პრეზიდენტის ბრმად მორჩილი, შემეჩერებინა ტელეგადაცემები. მე არავის ბრმა იარაღს არ წარმოვადგენდი. ამის დასადასტურებლად თენგიზ სიგუას თანდასწრებით დავრეკე ტელეანძაზე და ჩემს მებრძოლებს ვუბრძანე ანძის გათიშვა. ამის შემდეგ უნდობლობა შედარებით მოიხსნა. ბატონმა თენგიზმა ერთი მოთხოვნა დააყენა – პრეზიდენტის გადადგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლას ბოლომდე გააგრძელებდნენ, რადგანაც სხვა გზა არ ჰქონდათ დარჩენილი. ვუთხარი, რომ მეც ერთადერთ გზად გადადგომა მესახებოდა, მაგრამ პრეზიდენტზე ამდენი ზეგავლენა არ მქონდა.

ამ საუბარმა დაახლოებით ორმოც წუთს გასტანა. მე და ზვიად ძიძიგურმა სასტუმრო „თბილისი“ დავტოვეთ. მივედით თუ არა მთავრობის სახლში, შტაბში ყველა პასუხისმგებელი პირი შევკრიბეთ. ბატონები ჯონი ფირცხალაიშვილი – თავდაცვის მინისტრი, თამაზ ნინუა – უშიშროების მინისტრი, ვახტანგ ქობალია – გვარდიის სარდალი, მაღალი წოდების ოფიცრები მილიციიდან, რამდენიმე დეპუტატი. მათ მოკლედ გავაცანი არსებული მდგომარეობა. პირდაპირ ვუთხარი, რომ ბრძოლის გაგრძელება უაზრობად მიმაჩნდა, რადგან უდიდესი მსხვერპლი იყო მოსალოდნელი და ნებისმიერ შემთხვევაში მაინც ჩვენ ვაგებდით პასუხს შედეგებზე. პრეზიდენტის გადადგომა ერთადერთი გარანტია იყო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. შინაგანად ყველა დამეთანხმა. სამწუხაროდ, პრეზიდენტისთვის ამის თქმა ვერავინ გაბედა. მივხვდი, რომ პასუხისმგებლობის აღება არავის უნდოდა. იძულებული გავხდი, პრეზიდენტისთვის მეთქვა ჩემი და მათი აზრი.

პრეზიდენტი დაფიქრდა. მას ისიც განვუმარტე, რომ ჩვენ კომუნისტური რეჟიმი უსისხლოდ დავამხეთ და ჩვენი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის სისხლისღვრას ხალხი არ გვაპატიებდა. მე რატომღაც მჯეროდა, რომ პრეზიდენტი გადადგებოდა. მჯეროდა, რადგან მას არ ვატყუებდი. მით უმეტეს, არ ვღალატობდი. მას იმ სიმართლეს ვეუბნებოდი, რომლის თქმაც, სამწუხაროდ, არავინ იკისრა. ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც პრეზიდენტი დათანხმდა ოპოზიციის მოთხოვნაზე. მან თქვა, რომ ქალაქიდან გასასვლელად გარანტიები და დრო სჭირდებოდა.

„ისევ ჩავიცვი თეთრი ხალათი და ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად გადავედი. ეს უკვე პრეზიდენტის თანხმობით გავაკეთე. ვნახე თენგიზ სიგუა და პრეზიდენტის პასუხი ვაცნობე. ისლა დაგვრჩენოდა, შევთანხმებულიყავით, თუ რა პირობებში მოხდებოდა პრეზიდენტის მიერ მთავრობის სახლის დატოვება. გამსახურდია თავისი დაცვით გადიოდა აეროპორტში და გაფრინდებოდა ბათუმში, ხოლო სიგუა ჩემთან დარჩებოდა უიარაღოდ, როგორც მძევალი. ბატონ თენგიზს ვთხოვე, ეცნობებინა პრეზიდენტისთვის ამის შესახებ. მართლაც მან დაურეკა. მე არ მესმოდა ბატონი ზვიადის პასუხები, მაგრამ საუბრის შემდეგ სიგუამ მითხრა, რომ პრეზიდენტი ოპოზიციის პირობებს დათანხმდა“.



❖ ❖ ❖

*– რა ხდებოდა დედაქალაქის ცენტრში ამის შემდეგ?*

– შეგვატყობინეს იმის შესახებ, რომ თბილისელთა დიდმა ჯგუფმა, დაახლოებით 500 კაცის შემადგენლობით, გადაკეტა რუსთაველის გამზირი. ეს მოხდა იმელის შენობასთან. ტრანსპორტს მთავრობის სასახლის მიმართულებით არ ატარებდნენ. გაირკვა, რომ ისინი ოპოზიციის მხარდამჭერები იყვნენ. 17 საათზე სასტუმრო „თბილისთან“ მოვიდა თბილისელ მოქალაქეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, დაახლოებით 200 კაცი და თენგიზ კიტოვანთან შეხვედრა ითხოვა. მათ შეუქმნიათ ოპოზიციის მხარდამჭერი რაზმები და თხოულობდნენ იარაღს.

კიტოვანი თბილისის ზღვიდან ჯერ ჩამოსული არ იყო. დილიდან მოვლენები იმდენად მოულოდნელად განვითარდა, რომ გვარდია და ტექნიკა აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. გვარდიის შეიარაღების სამმართველოს ხელმძღვანელისგან, ჯემალ ჭუმბურიძისგან, ვიცოდი, რომ მათ მოსახლეობისგან შემდგარი რაზმების შეიარაღების არავითარი საშუალება არ ჰქონდათ.

საღამოს 8 საათზე გვარდიის დაზვერვის სამმართველომ მოიპოვა ინფორმაცია მთავრობის სახლში და მის მოპირდაპირე მხატვრის სახლში არსებული შეიარაღებული დაჯგუფების რაოდენობის შესახებ. ლაპარაკი იყო დაახლოებით 3.000 შეიარაღებულ პირზე.

ორივე მხარე კეთილსინდისიერად იცავდა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. გია გულუამ გაამზადა 5 მსუბუქი ავტომანქანა, რომლებიც დაცვის ფუნქციას ასრულებდნენ და გაგვაცილა თბილისის აეროპორტამდე. მან, როგორც მილიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, დაამყარა კონტაქტი მილიციის იმ განყოფილებასთან, რომელიც აკონტროლებდა აეროპორტისკენ მიმავალ გზას და სრულ გარანტიას იძლეოდა, რომ არავითარ ექსცესებს პრეზიდენტის კორტეჟის მსვლელობისას ადგილი არ ექნებოდა.

აეროპორტიდან დაგვირეკეს და შეგვატყობინეს, რომ თვითმფრინავი და ეკიპაჟი მზადყოფნაში იყვნენ.

დაახლოებით საღამოს 8 საათზე ტელეფონით დამიკავშირდა ზვიად გამსახურდია და შემატყობინა, რომ მან გადაიფიქრა ჩვენი შეთანხმების შესრულება თბილისის დატოვების თაობაზე. გთავაზობთ მის სიტყვებს:

„თურმე ეს საკითხი მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ ყოფილა“, – ასე ახსნა პრეზიდენტმა შეთანხმების ჩაშლა.

ამის შემდეგ ჩვენი სატელეფონო საუბარი საკმაოდ მძიმე და არაკორექტული ფორმით წარიმართა. სატელეფონო საუბრის დამთავრების შემდეგ, სავსებით სამართლიანი საყვედურები უკვე ჩემი მისამართით გაისმა სასტუმრო „თბილისში“.

„ხომ გეუბნებოდით, რომ მისი ნდობა არ შეიძლება; ეს ყველაფერი მას დროის გასაყვანად უნდოდა“, – ასეთი იყო შეფასებები.

შინაგანად დარწმუნებული ვიყავი, რომ მას გადაწყვეტილება გადაათქმევინეს.

❖ ❖ ❖

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თავად **ბესო ქუთათელაძის** ჩანაწერებიდან ამონარიდი:

„ბუნკერში მითხრეს, რომ მე პირველი დღიდან შეგნებულად ვარიდებდი თავს საომარ მოქმედებებს და, ჩემი პირდაპირი მოვალეობის შესრულების ნაცვლად, დაუკითხავად დავდიოდი მოლაპარაკებებზე. მათ ვუპასუხე, რომ ყოველ წუთს იხოცებოდნენ ახალგაზრდები. რუსთაველის გამზირი ცეცხლის ალში იყო გახვეული და აზრი ჰქონდა დაკარგული ჩვენი მხრიდან საბრძოლო მოქმედების გაგრძელებას.

პრეზიდენტის ოჯახის წევრმა ერთმა ქალბატონმა პირდაპირ განმიცხადა, რომ დიდი ხანია, თვალს მადევნებს და დარწმუნებულია, რომ მოღალატე ვარ. მდგომარეობა დაიძაბა. პრეზიდიუმს მივმართე, რომ თუ არ შეწყვეტდნენ ჩემ მიმართ უსაფუძვლო თავდასხმებს, ზომებს მივიღებდი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პრეზიდენტის ირგვლივ ვამპირების წრე კიდევ უფრო ვიწროვდებოდა. პრეზიდიუმის წევრები ექსტაზში შევიდნენ და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ბუნკერში სიკვდილს ამჯობინებდნენ ოპოზიციის წინადადებების მიღებას. ავუხსენი, რომ არც ერთი მათგანი ბუნკერში თავს არ მოიკლავდა, რომ მათი სიტყვები მხოლოდ ემოცია იყო და პრეზიდენტის წინაშე თავის მოწონება. ჯანმრთელობის მინისტრს კი მივუთითე, რომ სჯობდა, დაჭრილებისთვის მიეხედა, რომლებსაც ჭრილობებს სალამური პერანგებით ვუკრავდით, რადგან ბინტი და ბამბა არ გვქონდა. მაგრამ ვხვდებოდი, რომ ეს უკანასკნელი ცდა იყო. მთავრობის წარმომადგენლებმა პირდაპირ მითხრეს, რომ ოპოზიცია წინადადებებს იმიტომ იძლევა, რომ მარცხდებაო. გასასვლელში შევნიშნე, რომ ორი თუ სამი ნარკომანი მეთვალყურედ დამიყენეს. ჩემმა თანმხლებმა დაცვამ მანიშნა ამის შესახებ. გასაგები იყო, რომ ბუნკერი დროზე უნდა დამეტოვებინა“.

❖ ❖ ❖

**თენგიზ სიგუა:**

– გარემოცვამ გადაათქმევინა. ქუთათელაძე პირდაპირ წერს, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, პრეზიდენტის ირგვლივ ვამპირების წრე კიდევ უფრო ვიწროვდებოდაო. მერე ეს დადასტურდა კიდევაც. ძირითადად ქალები, ოჯახის წევრები – ცოლი, ცოლისდა, ჯანმრთელობის მინისტრი, ეს სამი ქალი განსაკუთრებით აქტიურობდა. ასევე რამდენიმე დეპუტატი. მათ შორის ხშირად სახელდებოდა მოლოდინაშვილის გვარი. სხვა შემთხვევაში 22-შივე უნდა დასრულებულიყო ყველაფერი. პრეზიდენტი ბათუმში გაფრინდებოდა და სროლები, უბედურება შეწყდებოდა. მერე უნდა შემდგარიყო დროებითი საბჭო, რომელიც შემდგომ ღონისძიებებს განახორციელებდა. სწორედ ამ გარემოცვის როლს თავად პრეზიდენტიც აღიარებდა.

ეს სატელეფონო საუბრები გადაღებულია და პირველი არხის არქივში ინახება.

**საზოგადოება**

# საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაცემები დახურა

საქართველოს პირველმა არხმა – საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაცემები დახურა. „დღის კოდი“, „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“, „ფერმა“, „თავისუფალი ხედვა გიორგი გვიმრაძესთან ერთად“, „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, „ნატალიასთან და დათუნასთან ერთად“, „კაცები“ პირველი არხის ეთერში აღარ გავა. ასევე იხურება სრულად არხი „ტელესკოლა“.




საქართველოს პირველმა არხმა ამ თემასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით შეიცვალა მაუწყებლის დაფინანსების მოდელი და წესი. ასევე ცნობილია, რომ 2024 წელს მაუწყებელი იცვლის შენობას და გადადის ახალ მისამართზე, ეს კი უკავშირდება ინფრასტრუქტურულ და ტექნოლოგიურ ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის ორგანიზაციის კაპიტალურ ხარჯებს.

არსებული მოცემულობა ახალი რეალობის წინაშე აყენებს ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს უწყვეტი მაუწყებლობა, შეასრულოს ნაკისრი შინაარსობრივი ვალდებულებები და, მეორე მხრივ, ახალი გარემოებიდან გამომდინარე, შეცვალოს დაგეგმილი პროგრამირება.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე არსებული ყველა გადაცემა ერთნაირად ღირებული, ხარისხიანი და მნიშვნელოვანია. მრავალფეროვნება, ინფორმირება, შემეცნება, გართობა და სპორტი, რომელიც ნებისმიერი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქვაკუთხედია, ითვალისწინებს ყველა ტიპის მაყურებლის გემოვნების დაკმაყოფილებას და გამორიცხავს გადაცემების პოლიტიზებას.

არხზე წლების განმავლობაში არსებობს სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული შინაარსის პროგრამები და ეს მიდგომა უცვლელი რჩება, რესტრუქტურიზაცია დაიგეგმა მოცემული ფინანსური ცვლილებებიდან გამომდინარე და სხვადასხვა ფორმით შეეხება ყველა პროექტს, ასევე ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს.

კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია რომელიმე გადაცემის ირგვლივ საკითხის პოლიტიზება, რადგან ამ ეტაპისთვის არსებული ცვლილებებიდან გამომდინარე, თითოეულ გადაცემაზე დანაკლისი ექნება სხვადასხვა ტიპის მაყურებელს, საკუთარი გემოვნებისა და პრეფერენციების მიხედვით.

იხურება სრულად არხი „ტელესკოლა“, „დღის კოდი“, „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“, „ფერმა“, „თავისუფალი ხედვა გიორგი გვიმრაძესთან ერთად“, „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, „ნატალიასთან და დათუნასთან ერთად“, „კაცები“. ასევე ცვლილებებთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს ყველა გარეწარმოების (6 კომპანია) კომპანიასთან.

გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 14 დეკემბერს და უკვე დასრულდა ყველა პროექტის შემოქმედებით ჯგუფებთან პირისპირ კომუნიკაცია, დღეს გაცნობებთ არსებულ ვითარებას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა, რადგან ინტერპრეტაცია მხოლოდ ხელს შეუშლის რეალური სურათის დანახვას.

პ.ს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ გადაწყვეტილებამ მაყურებელში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შედგა სპეციალური პეტიცია, რომლის ავტორიც მაშო სამადაშვილია. ის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს თინათინ ბერძენიშვილს მიმართავს და თანამოაზრეებთან ერთად პირველი არხის ეთერში გადაცემის „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ დაბრუნებას ითხოვს:

– დავით გორგილაძის გადაცემა „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ მოულოდნელად და არამოტივირებულად დაიხურა. არხის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი თავისუფალი იყო პოლიტიკური გავლენებისგან და საზოგადოების განათლებას ისახავდა მიზნად. მისი არჩევნებამდე 1 წლით ადრე დახურვა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად და ცენზურად შეიძლება იქნას წაკითხული. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები მოვითხოვთ გადაცემის საეთერო ბადეში დაბრუნებას.

გადაცემის ეთერში დაბრუნებასთან დაკავშირებით გავრცელებულ პეტიციას ათასობით ხელმოწერა აქვს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# აშშ მის ტერიტორიაზე არსებული რუსული აქტივების კონფისკაციისათვის ემზადება




აშშ მის ტერიტორიაზე არსებული რუსული აქტივების კონფისკაციისათვის ემზადება. ამის თაობაზე იუწყება გაზეთი „ფაინენშელ ტაიმსი".

– აქტივები კარგა ხანია გაყინულია. ახლა მიმდინარეობს სამზადისი მათი კონფისკაციისთვის, – წერს გაზეთი.

ამერიკელები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს დიდი შვიდეულის წევრ ქვეყნებთან.

# თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი შავი ზღვის განაღმვას აპირებენ



თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი შავი ზღვის განაღმვას აპირებენ. ამის თაობაზე იტყობინება „ამერიკის ხმა". სათანადო ხელშეკრულება, სავარაუდოდ, გაფორმდება იანვარში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, თურქი დიპლომატები თვლიან, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივი ზომების მიღება.

# პუტინი არჩევნებისათვის ემზადება



რუსეთის დიქტატორი პუტინი ემზადება ახალი შოუს, სახელად არჩევნების, დასადგმელად. სპექტაკლი მომავალ წელს გაიმართება. დღეისათვის უკვე ცნობილია ე.წ. „პუტინის გუნდის" შემადგენლობა. მასთან ერთად ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი გავა არჩევნებზე.

პუტინის გუნდში ცნობილი მომღერლები, მწერლები და მსახიობები შედიან. მათ შორისაა ნადეჟდა ბაბკინა, სტას მიხაილოვი, ლარისა დოლინა, იულია ბარანოვსკაია, ლეონიდ ბოკერია, ზახარ პრილეპინი.

პუტინი პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა საინიციატივო ჯგუფმა, სადაც შედიოდნენ ნიკიტა მიხალკოვი (კინორეჟისორი), ნადეჟდა ბაბკინა და დრონოვი (მომღერლები).

# რუსეთ-უკრაინის ფრონტზე „დრონების ომი" გაძლიერდა

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთ-უკრაინის ფრონტზე შეტაკებათა რაოდენობა შემცირდა. მიზეზი ამინდია. დონბასში გადაუღებლად წვიმს. ასეთ ფონზე მძიმე ტექნიკას გადაადგილება უჭირს. შეტაკებათა რაოდენობა შემცირდა ყველაზე ცხელ უბნებზე: ავდეევკა, ლიმანი, ბახმუტი, რობოტინო, აგრეთვე ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირი. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ფრონტებზე ცვლილებები არ მომხდარა. სამაგიეროდ, ე.წ. „დრონების ომი" გაძლიერდა. დრონებს ინტენსიურად იყენებენ როგორც რუსები, ისე უკრაინელები.

რუსმა ოკუპანტებმა დაბომბეს კიევი, დნეპრი, ხარკოვი, ოდესა, ხერსონი. სულ უკრაინის მიმართულებით გაშვებულ იქნა 20 დრონი. შედეგად დაინგრა სახლები. არის მსხვერპლი. დაიღუპა 1 მშვიდობიანი მოქალაქე.

უკრაინელები დამპყრობლებს ვალში არ დარჩნენ. მათ დაბომბეს დროებით ოკუპირებული დონეცკი, ჯანკოი, სევასტოპოლი, ფეოდოსია. დონეცკში უკრაინული დრონი ნავთობბაზას დაეცა. შედეგად ავარდა მასშტაბური ხანძარი. უკრაინელებმა რუსეთის ტერიტორიასაც დაარტყეს. დაიბომა ქალაქები კურსკი, ბელგოროდი, ბრიანსკი, ტაგანროგი. შედეგად განადგურდა მტრის დიდძალი სამხედრო ინფრასტრუქტურა, დაინგრა რკინიგზის სადგურები, ცეცხლი წაეკიდა ყაზარმებს.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.720; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.667; არტილერია – 8.100; თვითმფრინავები – 324. განადგურებულია 345.820 (+930) ოკუპანტი.

უკრაინელთა დანაკარგებია 60.000 მოკლული ჯარისკაცი. სამაგიეროდ, დიდი მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაში. დაღუპულია 355.000 ადამიანი. 4 მილიონი უკრანელი იძულებული გახდა, ემიგრაციაში გადახვეწილიყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



# ჯობავას მეშვიდე და მეცხრე ადგილები



ხორვატიის ქალაქ ზაგრებში დასრულდა მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში, რომელშიც ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავაც მონაწილეობდა.

შვეიცარიული სისტემით თერთმეტი ტური გათამაშდა. ჯობავამ, რომელიც მეოთხე ნომრად იყო განთესილი, შვიდი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დაასრულა და ერთი წააგო. საბოლოოდ, ჩვენებურმა 11 შესაძლებლობიდან 8,5 ქულა მოაგროვა და 4-18 ადგილები გაინაწილა. დამატებითი მაჩვენებლებით ჯობავა მეშვიდე ადგილზე გავიდა.

9,5 ქულით ჩემპიონობა სერბმა ალექსეი სარანამ მოიპოვა; 9-9 ქულით 2-3 ადგილები სომეხმა ჰაიკ მარტიროსიანმა და რუმინელმა დანიელმა დეკმა გაიყვეს.

ელვისებურ ჭადრაკში შვეიცარიული სისტემით 13 ტური გათამაშდა. ჯობავამ თავი 10 ქულას (9 მოგება, 2 ყაიმი, 2 მარცხი) მოუყარა თავი და 5-14 ადგილები გაინაწილა. დამატებითი მაჩვენებლებით კი, მე-9 ადგილი ხვდა.

11.5 ქულით ჩემპიონობა ჩეხმა დავიდ ნავარამ მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა უკრაინელი ვასილი ივანჩუკი და ვერცხლის მედალი ერგო. 10.5-10.5 ქულით 3-4 ადგილები, მონტენეგროელმა დენის კანდიჩმა და ხორვატმა ივან სარიჩმა (ხორვატია) გაიყვეს.

# ბითაძის მორიგი ორმაგი დუბლი

გოგა ბითაძემ მიმდინარე სეზონში მესამე ორმაგი დუბლი შეასრულა. ქართველი ცენტრის გუნდმა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი მატჩი ბოსტონში, კონფერენციის ლიდერთან გამართა და 111:128 დამარცხდა.

ბითაძემ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 15 ქულა მიითვალა, რასაც 11 მოხსნა და ერთი პასიც მიაყოლა. გოგამ 26 წუთი გაატარა, რა დროშიც რვიდან შვიდი ორქულიანი ჩააგდო, ხოლო ორიდან ერთი საჯარიმო. გოგამ მატჩში ყველაზე მეტი 11 მოხსნა (5 მეტოქის ფარზე) მიითვალა. ჩვენებურის პასივში ოთხი დაკარგვაა.

ფლორიდელებმა ბოლო პერიოდში წაგებებს მოუხშირეს და, სადღეისოდ, 16 მოგებითა და 8 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე ჩაინაცვლა. მორიგ მატჩს ორლანდო 18 დეკემბერს, ისევ ბოსტონში გამართავს.

სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო სფურსმა 18-მატჩიანი მოუგებელი სერია ლოს ანჯელეს ლეიკერსთან შეწყვიტა – ტეხასელებმა შინ 125:115 გაიმარჯვეს.

მამუმ 2 წუთი ითამაშა და ერთი სამქულიანი ჩააგდო. სხვა ქმედება ჩვენებურს არ ჰქონია.

სან ანტონიო 4 მოგებითა და 20 მარცხით დასავლეთ კონფერენციის ბოლოშია, მომდევნო მატჩი კი, ნიუ ორლეანთან ელის.

თორნიკე შენგელიას ვირტუს ბოლონიამ სერია ა-ს მე-12 ტურში ვენეციას უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულით დამარცხდა – 84:85.

ვირტუსი პირველ პერიოდში 8 ქულით ჩამორჩა და სამი პერიოდი ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას მოუნდა. ძირითადი დრო 80:80 დასრულდა, ხოლო ოვერტაიმში ვენეციამ 5:4 მოიგო.

თორნიკემ პარკეტზე 33 წუთი გაატარა, რა დროშიც 13 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი დააგროვა. შენგელიამ 10-დან 5 ორქულიანი, 3-დან ერთი სამქულიანი ჩააგდო.

შენგელიას გუნდს სერია ა-ს მიმდინარე სეზონში 8 მოგება და 4 მარცხი აქვს, რითიც მეოთხე ადგილზეა. ბოლონიელები ბრეშიას, ტრენტოსა და ვენეციას ჩამორჩებიან.

# შედეგები

16 დეკემბერი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-კრ.პალასი ..... 2:2
ნიუკასლი-ფულემი ..... 3:0
ჩელსი-შეფილდი ..... 2:0
ბარნლი-ევერტონი ..... 0:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 36-15 | 37 |
| 2.არსენალი | 16 | 11 | 3 | 2 | 33-15 | 36 |
| 3.ასტონ ვილა | 16 | 11 | 2 | 3 | 35-20 | 35 |
| 4.სიტი | 17 | 10 | 4 | 3 | 40-20 | 34 |
| 5.ტოტენჰემი | 17 | 10 | 3 | 4 | 35-23 | 33 |
| 6.ნიუკასლი | 17 | 9 | 2 | 6 | 36-21 | 29 |
| 7.მანჩესტერი | 16 | 9 | 0 | 7 | 18-21 | 27 |
| 8.ბრაიტონი | 16 | 7 | 5 | 4 | 33-28 | 26 |
| 9.ვესტ ჰემი | 16 | 7 | 3 | 6 | 26-30 | 24 |
| 10.ჩელსი | 17 | 6 | 4 | 7 | 28-26 | 22 |
| 11.ფულემი | 17 | 6 | 3 | 8 | 26-29 | 21 |
| 12.ბრენტფორდი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-22 | 19 |
| 13.ვულვზი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-30 | 19 |
| 15.კრ.პალასი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-25 | 17 |
| 16.ევერტონი | 17 | 8 | 2 | 7 | 22-20 | 16 |
| 17.ნოტინგემი | 17 | 3 | 5 | 9 | 17-30 | 14 |
| 18.ლუთონი | 16 | 2 | 3 | 11 | 17-32 | 9 |
| 19.ბარნლი | 17 | 2 | 2 | 13 | 16-36 | 8 |
| 20.შეფილდი | 17 | 2 | 2 | 13 | 12-43 | 8 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

იფსვიჩი-ნორვიჩი ..... 2:2
ბრისტოლი-სანდერლენდი ..... 1:0
ლიდსი-ქოვენთრი ..... 1:1
მილუოლი-ჰადერსფილდი ..... 1:1
პლიმუთი-როტერჰემი ..... 3:2
პრესტონი-უოტფორდი ..... 1:5
საუთჰემპტონი-ბლექბერნი ..... 4:0
სუონსი-მიდლსბრო ..... 1:2
ჰალი-კარდიფი ..... 3:0
უენსდი-ქპრ ..... 2:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-დორტმუნდი ..... 1:1
ბოხუმი-უნიონი ..... 3:0
დარმშტადი-ვოლფსბურგი ..... 0:1
მაინცი-ჰაიდენჰაიმი ..... 0:1
ლაიფციგი-ჰოფენჰაიმი ..... 3:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 14 | 11 | 3 | 0 | 39-12 | 36 |
| 2.ბაიერნი | 13 | 10 | 2 | 1 | 44-14 | 32 |
| 3.ლაიფციგი | 15 | 10 | 2 | 3 | 37-16 | 32 |
| 4.შტუტგარტი | 14 | 10 | 1 | 3 | 34-16 | 31 |
| 5.დორტმუნდი | 15 | 7 | 5 | 3 | 29-24 | 26 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 15 | 7 | 2 | 6 | 29-27 | 23 |
| 7.აინტრახტი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-16 | 21 |
| 8.ფრაიბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 17-23 | 21 |
| 9.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 1 | 8 | 19-25 | 19 |
| 10.აუგსბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 24-28 | 18 |
| 11.გლადბახი | 15 | 4 | 5 | 6 | 30-33 | 17 |
| 12.ჰაიდენჰაიმი | 15 | 5 | 2 | 8 | 22-30 | 17 |
| 13.ბოხუმი | 15 | 3 | 7 | 5 | 18-29 | 16 |
| 14.ვერდერი | 15 | 4 | 3 | 8 | 22-29 | 15 |
| 15.კიოლნი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |
| 16.უნიონი | 14 | 3 | 1 | 10 | 15-31 | 10 |
| 17.მაინცი | 15 | 1 | 6 | 8 | 12-27 | 9 |
| 18.დარმშტადი | 15 | 2 | 3 | 10 | 17-38 | 9 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰერტა-ოსნაბრიუკი ..... 0:0
მაგდებურგი-ფორტუნა ..... 2:3
ნიურნბერგი-ჰამბურგი ..... 0:2
კილი-ჰანოვერი ..... 3:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-გრანადა ..... 1:0
ბილბაო-ატლეტიკო ..... 2:0
სევილია-ხეტაფე ..... 0:3
ვალენსია-ბარსელონა ..... 1:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 16 | 13 | 2 | 1 | 38-20 | 41 |
| 2.რეალი | 16 | 12 | 3 | 1 | 34-10 | 39 |
| 3.ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 31-19 | 35 |
| 4.ატლეტიკო | 16 | 11 | 1 | 4 | 32-16 | 34 |
| 5.ბილბაო | 17 | 9 | 5 | 3 | 33-19 | 32 |
| 6.სოსიედადი | 16 | 8 | 5 | 3 | 29-18 | 29 |
| 7.ბეტისი | 16 | 6 | 8 | 2 | 19-17 | 26 |
| 8.ხეტაფე | 17 | 6 | 7 | 4 | 21-20 | 25 |
| 9.ლას პალმასი | 16 | 7 | 3 | 6 | 14-13 | 24 |
| 10.ვალენსია | 17 | 5 | 5 | 7 | 18-22 | 20 |
| 11.რაიო | 17 | 4 | 8 | 5 | 16-23 | 20 |
| 12.ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 13.ალავესი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-20 | 16 |
| 14.ვილიარეალი | 16 | 4 | 4 | 8 | 22-29 | 16 |
| 15.მალიორკა | 16 | 2 | 8 | 6 | 14-20 | 14 |
| 16.სევილია | 16 | 2 | 7 | 7 | 20-24 | 13 |
| 17.სელტა | 17 | 2 | 7 | 8 | 16-25 | 13 |
| 18.კადისი | 16 | 2 | 7 | 7 | 13-23 | 13 |
| 19.გრანადა | 17 | 1 | 5 | 11 | 20-37 | 8 |
| 20.ალმერია | 16 | 0 | 4 | 12 | 17-39 | 4 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ელდენსე-რასინგი ..... 3:3
ანდორა-ესპანიოლი ..... 1:1
ხიხონი-ლეგანესი ..... 1:1
კარტახენა-ბურგოსი ..... 0:3
მირანდესი-ალბასეტე ..... 2:0

### იტალია. სერია ა

ლეჩე-ფროზინონე ..... 2:1
ნაპოლი-კალიარი ..... 2:1

**ნაპოლის მეორე გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა**

ტორინო-ემპოლი ..... 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 2 | 1 | 37-7 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 16 | 11 | 4 | 1 | 24-10 | 37 |
| 3.მილანი | 15 | 9 | 2 | 4 | 26-18 | 29 |
| 4.ნაპოლი | 16 | 8 | 3 | 5 | 28-19 | 27 |
| 5.რომა | 15 | 7 | 4 | 4 | 28-17 | 25 |
| 6.ბოლონია | 15 | 6 | 7 | 2 | 18-12 | 25 |
| 7.ფიორენტინა | 15 | 7 | 3 | 5 | 24-18 | 24 |
| 8.ტორინო | 16 | 6 | 5 | 5 | 14-16 | 23 |
| 9.ატალანტა | 15 | 7 | 2 | 6 | 24-18 | 23 |
| 10.მონცა | 15 | 5 | 6 | 4 | 16-14 | 21 |
| 11.ლაციო | 15 | 6 | 3 | 6 | 16-16 | 21 |
| 12.ლეჩე | 16 | 4 | 8 | 4 | 19-21 | 20 |
| 13.ფროზინონე | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 16-21 | 16 |
| 15.სასუოლო | 15 | 4 | 3 | 8 | 22-28 | 15 |
| 16.კალიარი | 16 | 3 | 4 | 9 | 16-29 | 13 |
| 17.უდინეზე | 15 | 1 | 9 | 5 | 12-25 | 12 |
| 18.ემპოლი | 16 | 3 | 3 | 10 | 10-28 | 12 |
| 19.ვერონა | 15 | 2 | 5 | 8 | 13-22 | 11 |
| 20.სალერნიტანა | 15 | 1 | 5 | 9 | 11-30 | 8 |

### იტალია. სერია ბ

ბრეშა-კომო ..... 2:0
ვენეცია-ზიუდტიროლი ..... 2:3
მოდენა-ჩიტადელა ..... 1:1
რეჯანა-სამპდორია ..... 1:2
ფერალსიპალო-კრემონეზე ..... 1:0
ასკოლი-კატანძარო ..... 1:0
კოზენცა-პარმა ..... 0:0
პალერმო-პიზა ..... 3:2

### საფრანგეთი. ლიგა 1

ლე ავრი-ნიცა ..... 3:1
ლანსი-რეიმსი ..... 2:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 11 | 3 | 1 | 38-12 | 36 |
| 2.ნიცა | 16 | 9 | 5 | 2 | 17-9 | 32 |
| 3.მონაკო | 16 | 9 | 3 | 4 | 31-21 | 30 |
| 4.ლილი | 15 | 7 | 6 | 2 | 19-11 | 27 |
| 5.ლანსი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-15 | 26 |
| 6.ბრესტი | 15 | 7 | 4 | 4 | 19-15 | 25 |
| 7.მარსელი | 15 | 6 | 5 | 4 | 22-16 | 23 |
| 8.რეიმსი | 16 | 7 | 2 | 7 | 21-23 | 23 |
| 9.ლე ავრი | 16 | 4 | 7 | 5 | 16-18 | 19 |
| 10.ნანტი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-25 | 18 |
| 11.სტრასბური | 15 | 4 | 5 | 6 | 14-20 | 17 |
| 12.მეცი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-23 | 16 |
| 13.რენი | 15 | 3 | 6 | 6 | 20-21 | 15 |
| 14.მონპელიე | 15 | 3 | 6 | 6 | 17-20 | 14 |
| 15.ტულუზა | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| 16.ლიონი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-27 | 13 |
| 17.ლორიანი | 15 | 2 | 6 | 7 | 20-29 | 12 |
| 18.კლერმონი | 15 | 2 | 5 | 8 | 9-21 | 11 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ბორდო-სტ.ეტიენი ..... 0:0
ოსერი-აიაჩო ..... 2:0
ვალანსიენი-პარიზი ..... 0:1
გენგამი-კონკარნო ..... 0:1
გრენობლი-ანსი ..... 1:0
კაენი-დიუნკერკი ..... 1:0
ლავალი-პო ..... 1:1
როდეზი-ამიენი ..... 2:2
ბასტია-კევიი ..... 0:0
ტრუა-ანჟე ..... 1:4

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

რიუ ავე-ვიზელა ..... 1:1
აროუკა-ჟილ ვისენტე ..... 3:0
ბოავიშტა-გიმარაეში ..... 1:1

### ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი

უტრეხტი-ვალვაიკი ..... 1:1
ექსელსიორი-იგლზი ..... 1:1
ჰერენვენი-ვოლენდამი ..... 1:2

### ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-სერკლი ..... 1:2
მოლენბეკი-სტ.ტრუიდენი ..... 3:0
სტანდარდი-შარლერუა ..... 0:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-კილმარნოკი ..... 0:0
როსი-დანდი ..... 0:1
სელტიკი-ჰართსი ..... 0:2
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი ..... 1:0
სტ.მირენი-მოზერველი ..... 0:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კიფისია-იანინა ..... 4:2

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-ჰრადეც კრალოვე ..... 4:0
ბოლესლავი-სლოვაცკო ..... 0:1
პარდუბიცე-ლიბერეცი ..... 2:0
იაბლონეცი-კარვინა ..... 0:0
ბოჰემიანსი 1905-ჩესკე ..... 0:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.გალენი-ციურიხი ..... 1:0
უში-იანგ ბოიზი ..... 1:3
გრასჰოპერსი-ივერდონი ..... 1:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პუშა-იაგელონია ..... 3:3
რადომიაკი-ლეხი ..... 2:2

**ლეხის პირველი გოლი ნიკა კვეკვესკირმა გაიტანა**

ვიძევი-პოგონი ..... 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა


## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# შავი ლომის ისტორიული გამარჯვება

**სქარლეთსი (უელსი) – შავი ლომი (საქართველო) 7:23**

ქართულ რაგბის სულ 160 წუთი დაჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ ევროპის ელიტური საკლუბო რაგბის თანასწორია.

ქართულმა ფრენჩაიზმა შავმა ლომმა სადებიუტო მატჩში უბრალოდ ვერ ირწმუნა, რომ გამარჯვება შეიძლებოდა. მასპინძლებმა წვიმიან ამინდში, „მიხეილ მესხზე“, ინგლისურ გლოსთერს ლელო არ გაატანინეს, თავად კი გაიტანეს, მაგრამ 10:15 წააგო და მცირე ქულებით მარცხისთვის მხოლოდ ნუგეშის ქულა ერგო.

წვიმა არც უელსში დაგვკლებია და სქარლეთსთან მატჩის დებიუტიც ძალიან ცუდი გამოდგა. ადრეულმა ლელომ, ჯარიმებმა და ზედიზედ ექვსმა წაგებულმა დერეფანმა, სტუმრები საწყისი 30 წუთის განმავლობაში პრაქტიკულად ბურთის გარეშე დატოვა, თუმცა, თავდაუზოგავმა დაცვამ, რაქებსა და შეჯგუფებებში ბრძოლამ, ასევე შერკინებაში დომინირებამ, შავ ლომს მატჩში დაბრუნებისა და საბოლოოდ ისტორიული გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობა მისცა.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, მასპინძლები დიდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. მათ ჩვენს ნახევარზე 2-ჯერ მეტი დრო გაატარეს, მაგრამ ეს ქულებში ვერ ასახეს, სტუმრებმა კი საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეს.

შავი ლომი ბურთის დაკარგვაში 12-ჯერ შეცდა, მაშინ, როდესაც მასპინძლებმა ეს მხოლოდ 3-ჯერ შეძლეს. მოვიგეთ მხოლოდ 6 დერეფანი, მეტოქის 18-ის საპირწონედ, მაგრამ ამის კომპენსირება ნაწილობრივ შერკინებამ მოახერხა, რომელმაც რამდენჯერმე მეტოქის ბურთი წამოიღო.

თამაშის დასაწყისში სტუმრებმა ერთიმეორეს მიყოლებით შეცდომები დაუშვეს. წაგებულ საკუთარ დერეფანს, ხაზის გაჭრა, ჩვენს 22-ში ზედიზედ ორი ჯარიმა და ფიფიტას ლელო მოჰყვა, რომელიც ლოიდმა გარდასახა და მასპინძლებმა მეოთხე წუთზე 7-ქულიანი უპირატესობა მიიღეს. ამას ისიც დაერთო, რომ ბევრი ჯარიმების ფონზე რეფერიმ სანდრო მამამთავრიშვილი მე-7 წუთზე 10 წუთით გააძევა და კაცნაკლულები დავრჩით.



მიუხედავად ამისა, ლუკა მატკავას ჩამორჩენის შემცირება ჯარიმით შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული მიზანს ასცდა. 23-ე და 27-ე წუთებზე კიდევ წავაგეთ ჩვენი შეტევითი დერეფანი, მაგრამ მეორე ჯერზე მეტოქეს წნეხი დავადეთ, დავაჯარიმეთ და ამჯერად მატკავამ გასატანი პოზიციიდან 3 ქულა აიღო.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად უბურთოდ ვიყავით, გაუვალმა დაცვამ სქარლეთს, რომლის რიგებში უელსის, ახალი ზელანდიისა და ტონგას ნაკრების შვიდი მორაგბე თამაშობდა, ქულის აღების შესაძლებლობა არ მისცა. სტუმრები კარგად ირჯებოდნენ რაქებში, სრულად დომინირებდნენ შერკინებაში და მეტოქის დაჯარიმებით, უელსელების ნახევარზე გადადიოდნენ, მაგრამ იქ ბურთი იკარგებოდა.

გაშვებული ჯარიმის შემდეგ, სქარლეთსმა ტემპს უმატა, ჩვენი უკანახაზელები წნეხში მოექცნენ, რასაც 5-მეტრიანი შერკინება მოჰყვა, მაგრამ თავი ამჯერადაც დავიცავით. 33-ე წუთზე, ზედიზედ მეექვსე ჩვენი დერეფნის წაგების შემდეგ, მეტოქე იქვე შევაწუხეთ და დავაჯარიმეთ. ლუკა ივანიშვილმა ბურთი სწრაფად გაათამაშა და შეუტია, მხარი ნოდარ ჭეიშვილმა აუბა და ლელომდე დაახლოებით მეტრი დააკლდა, რამდენიმე დარტყმის შემდეგ კი, ოვალი ხაზზე გავიდა და მირიან მოდებაძემ ლელოთი დაგვაწინაურა, ხოლო მატკავამ გარდასახა.

შესვენებამდე შავმა ლომმა სქარლეთსის კიდევ ორი შეტევა მოიგერია, ბოლოს საკუთარი დერეფანი მოიგო და ოთარ ლაშხმა შეუტია, მაგრამ აუტში გადაიყვანეს და ტაიმი 3 ქულის სხვაობით მოვიგეთ – 10:7.

მეორე ტაიმში მოედანზე სიტუაცია შეიცვალა. შავი ლომი დაცვასა და შერკინებაში კვლავ უშეცდომოდ ირჯებოდა, პარალელურად კი დერეფანში თამაში გამოასწორა, ბურთზე კონტროლი დაამყარა და ეტაპობრივად უპირატესობა გაზარდა.

მატკავამ შერკინებაში მოპოვებული ჯარიმა 3 ქულად მეორე ტაიმის დასაწყისში აქცია. ამან მასპინძლები აანერვიულა და შეცდომებს მოუხშირეს, რის ფონზეც მატკავამ 45 მეტრიდან ჯარიმა 5-მეტრიან დერეფანში გადაიტანა, იქიდან შავმა ლომმა მოლი ააგორა და ბექა მამრიკიშვილმა ლელო გაიტანა. მატკავამ რთული პოზიციიდან გარდასახა და ჩელენჯ თასზე ისტორიული გამარჯვების შანსი რეალური გახდა.

დასკვნით მეოთხედში შავი ლომის უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და სქარლეთსი 65-ე წუთზე კაცნაკლული დარჩა. 74-ე წუთზე მატკავამ აღარ გარისკა, გასატანი პოზიციიდან ჯარიმიდან ბურთი ძელებს შუა გააძვრინა და უპირატესობა 16 ქულამდე გაზარდა. ცხადი გახდა, რომ დასკვნით ხუთ წუთში სქარლეთსი თამაშის გადარჩენას ვეღარ მოახერხებდა...

მესამე ჯგუფის მეორე რაუნდში გლოსთერმა კლერმონს 28:17 მოუგო, ედინბურგმა კი, კასტრს 34:21 სძლია. ორი ტურის შემდეგ გლოსთერი ჯგუფს 8 ქულით ლიდერობს; შავ ლომს, კასტრს, კლერმონსა და ედინბურგს 5-5 ქულა აქვთ; სქარლეთსი უქულოდაა.

**ლევან მაისაშვილი:**

– ქართული რაგბისთვის ისტორიული დღეა. ჩელენჯ თასზე პირველი თამაშის შემდეგ ბიჭები უკმაყოფილოები იყვნენ, გრძნობდნენ, რომ გლოსტერთან მოგება შეიძლებოდა. სკარლეთსთან თამაშის წინ მათ ვუთხარი, რომ მოედნიდან გამარჯვებულები უნდა გამოვსულიყავით, ოღონდ ეს გამარჯვება ამჯერად შედეგზეც უნდა ასახულიყო და მოსაგებად აბსოლუტურად ყველაფერი გაკეთდა. ზუსტად ეს არის თავდაჯერება და საკუთარი ძალების რწმენა.

რთული თამაში გამოვიდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან. სქარლეთსი დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე, უელსური რაგბის ერთ-ერთი ფლაგმანი გუნდია. ვულოცავ ყველას ამ დიდ გამარჯვებას. ნიშანდობლივია, რომ ეს მოგება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას დაემთხვა. ეს მოგება ჩვენ ყველამ ერთად დავიმსახურეთ და ისტორია დავწერეთ, ამ გამარჯვებას სრულიად საქართველოს ვუძღვნით.

**დუეინ ფილი:**

– ამ მარცხმა უნდა გამოგვაფხიზლოს. რთული და მწარე გაკვეთილი მივიღეთ, რითიც ჩვენი გუნდი უკეთესი უნდა გახდეს. შავ ლომთან მარცხის შემდეგ იმედგაცრუებულები ვართ. ვფიქრობ, რომ გუნდის ისტორიაში ეს ერთ-ერთ ყველაზე რთული სტარტია. კიდევ ერთხელ ვნახავთ ამ თამაშს და ჩვენი შეცდომების გამოსწორებაზე ვიფიქრებთ.

შავი ლომი ჯგუფური ეტაპის დარჩენილ ორ შეხვედრას იანვარში გამართავს – 13-ში კასტრს საფრანგეთში ეწვევა, 20-ში კი, კლერმონს თბილისში დაუხვდება. ფლეი ოფში ჯგუფიდან 4 გუნდი გადის.

მანამდე, 22 დეკემბერს, მაისაშვილის გუნდი რაგბი ევროპის სუპერ თასის ფინალში ისრაელის თელავივ ჰითს „ავჭალაზე“, 17 საათზე ერკინება და ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებას ეცდება.

# ეთერ ლიპარტელიანის ევროპული ოქრო

ძიუდოში ახალი საერთაშორისო ტურნირი გამოჩნდა – ევროპის ღია პირველობა.

ძიუდოსთვის საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდით (300 ათასი ევრო). შეჯიბრება კაცთა და ქალთა შორის თითო წონაში იმართება. პრიშტინაში 73 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის კაცები და 52 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ქალები შეიკრიბნენ.

ჩვენგან კოსოვოს დედაქალაქში ლაშა შავდათუაშვილი და ეთერ ლიპარტელიანი ჩავიდნენ. ორივეს შეეძლო მედლის მოპოვება, მაგრამ ეს მხოლოდ ლიპარტელიანმა მოახერხა, ვინაც ოქრო ირგუნა.

ლიპარტელიანმა ფინალში ისრაელის წარმომადგენელ ტიმნა ნელსონ-ლევის 32 წამში ორი ვაზარი აუღო და ახალი ტურნირის ისტორიაში ჩაეწერა. ფინალამდე ლიპარტელიანმა ესპანელი ხაიონ ეკუისოაინი, თურქი აისენურ კარადაღი და მასპინძელი ნორა დიაკოვა დაამარცხა. ლიპარტელიანმა ოქროსთან ერთად, სალარო 55.000 დოლარითაც შეივსო.



**ეთერ ლიპარტელიანი:**

– როდესაც ნახევარფინალში ოლიმპიური ჩემპიონი ნორა დიაკოვა დავამარცხე, მივხვდი, რომ ჩემი დღე იყო. ჩემთვის ყველაფერი იდეალურად წავიდა და რაც უფრო გრძელდებოდა დღე, უფრო უკეთესი განწყობა მიხდებოდა. ფინალში პრობლემები არ მქონია. ეს ჩემი პირველი ოქროს მედალია დიდ ტურნირზე და ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა უკვე მინდა 2004 წელს პარიზში ოლიმპიური ოქრო მოვიგო. ვიცი, რომ საამისოდ ყველაფერი მაქვს, რაც საჭიროა.

ლაშა შავდათუაშვილი მესამე ადგილისთვის შეხვედრაში აზერბაიჯანელ ჰიდაიატ ჰეიდაროვთან დამატებით დროში დამარცხდა და მედლის გარეშე დარჩა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას მონატრება



ძვირფასო მიმოზა!

ხუთი ცრემლიანი და ტკივილიანი წელი გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადახვედი, 2018 წლის 19 დეკემბერს და ცალუღელად დამტოვე. უშენობას ვერ ვეგუები, უშენოდ ჩემი სიცოცხლე არის მხოლოდ ტკივილი და დარდი. რომ იცოდე, რა მდგომარეობაში ვარ უშენოდ... როგორ ვიტანჯები მარტოობით? მინდა შენს ახლოს ვიყო ისე, რომ შენს სუნთქვას ვგრძნობდე, მაგრამ ყველაფერი ეს შეუძლებელია, როგორც ცისა და დედამიწის შეერთება, რასაც ძალიან განვიცდი. მენატრება შენი სითბო, შენი ღიმილი, რომლითაც ყველანი ვიყავით გაღიმებულები. ამიტომ მოვიჩქარი შენსკენ, რომ ერთად ვიყოთ ცის ქვეშ აწ და მარადის – ჩემო სანატრელო მიმოზა!

მენატრება შენი სახე,
მენატრება შენი სითბო,
მინდა გნახო, მაგრამ სად ხარ,
სიზმარშიაც ველარ გხედავ.
როდის მოხვალ, როდის გნახავ,
ბოლმამ გული გამიყინა,
ნუთუ ძველს სჯობს სამყოფელად
ახლანდელი შენი ბინა?
ობლადა ვარ, თვალებიდან
აღარ წყდება ცრემლის წვიმა,
ცალუღელად დავრჩი ქვეყნად,
ბედმა ტვირთი დამიმძიმა.
ლოდინში ვარ გულდამწვარი,
იქნებ სადმე მოგკრა თვალი,
მაგრამ სად ხარ, სად გეძებო,
არსად არ ჩანს შენი კვალი.
მაგრამ ფიქრში, ამ ჩემს ფიქრში,
შენ კვლავ ჩემთან ცოცხლობ ისევ,
თითქოს სახლში მოდიხარ და
მოგაქვს სითბო, სიხალისე!
ხან სარკმელს წმენდ და ხან ავეჯს,
სარკის რაფას უსვამ ტილოს
და ხან შენი წახედული
მეც ვხალისობ სასაცილოდ.
მაგრამ ქრება ეს ჩვენებაც
და კვალვ მარტო რჩება გული,
აღარც სახლში, აღარც გარეთ,
სადღაც შორს ხარ დაკარგული!
ნუთუ აღარ გებრალები,
ვწვალობ ასე – მე ბედკრული,
ჩქარა შენთან წამიყვანე,
ვიტანჯები მარტო სული.

მიმოზა! ამისრულე ეს ოცნება, წამიყვანე შენთან ჩქარა.
ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი მარად მღვიძარე სული.

**გულდაწყვეტილი შენი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 2. ალბანეთის დედაქალაქი; 3. თურქეთის პრეზიდენტი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ლითონის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 14. სოხუმის აეროპორტი; 16. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების ერთდროული დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 17. ქალაქი იმერეთში; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 20. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

**თარაზულად:** 5. ჩეჩენთა და ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10. რძის პროდუქტი; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო კომპანია; 13. მომაბეზრებელი, ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 18. მდინარეზე, ხეობაზე გადებული, ბაგირებზე დაკიდებული ხიდი; 21. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 22. მარგალიტის ყელსაბამი; 23. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სეკანსი; 2. ტაბა; 3. ბარბი; 4. ცვაიგი; 5. ქობულაძე; 9. ნოქარი; 13. წაღვერი; 14. ყაზბეგი; 15. პალაცო; 17. პოლკა; 18. შხარა; 20. ორლი.

**თარაზულად:** 1. სატურნი; 5. ქორქი; 7. ხარკოვი; 8. კაბერნე; 10. სააბი; 12. არქივი; 11. ბროლი; 16. ბაზაძე; 17. პუნში; 19. ღრძო; 21. ქაშერი; 22. სკვერი; 23. ლომისა; 24. ჯიქები.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კრახუნა; 2. ბელუჩი; 3. ხონთქარი; 4. ბიპოლიდი; 7. ტარანტინო; 8. ჰოლდინგი; 12. ხაჭაპური; 14. ბალატონი; 16. პორტერი; 17. ჟურნალი; 19. დუდა; 20. ჩოხა.

**თარაზულად:** 5. ღრმაღელე; 6. აკორდეონი; 9. ნუტრია; 10. ჩარექა; 11. ალაფი; 13. შაირი; 15. ჩანახი; 18. მონჟი; 21. ჩოხატაური; 22. ევკომია; 23. დარბაზი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


18 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6816 | ევრო — 2.9406 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4290 | 100 რუსული რუბლი — 2.9895 |

**ამინდის პროგნოზი 18 დეკემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვარაცხელიას გოლმა ნაპოლის გამარჯვება მოუტანა



ნაპოლიმ საკუთარ მოედანზე კალიარი მიიღო და დაამარცხა 3:1. ხვიჩა კვარაცხელიას კარგი შეხვედრა ჰქონდა. მან გადამწყვეტი გოლი გაიტანა და საგოლე პასის გაკეთებაც შეძლო.

მთელი მატჩის მანძილზე ქართველი ფორვარდი ძალიან აქტიური იყო და ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ამ გამარჯვების შემდეგ ნაპოლიმ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა, თუმცა, მათ ლიდერამდე ჯერ კიდევ ბევრი აშორებთ.

## ხავი: „ვალენსიასთან გამარჯვებას ვიმსახურებდით“

ბარსელონამ კიდევ ერთხელ დაკარგა ქულები, ამჯერად მათ სტუმრად ვალენსია ვერ დაამარცხეს და მატჩის შემდეგ ხავიმ თქვა, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა და იღბალი მათ მხარეს არ იყო:

– მთელი მატჩის მანძილზე გვქონდა უპირატესობა და მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი შევქმენით. არ მესმის, როგორ ვერ მოვიგეთ ეს შეხვედრა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ და მომავალ მატჩებზე ვიფიქროთ.

## ვინისიუს ჟუნიორი: „მინდა, რომ მოედანზე მალე დავბრუნდე“



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა ფორვარდმა ვინიციუს ჟუნიორმა განაცხადა, რომ მას სურს, მოედანზე მალე დაბრუნდეს, თუმცა, იცის, რომ ზედმეტი სიჩქარე კარგი არ არის. ვინიციუსის თქმით, მან ტრავმა ბოლომდე უნდა მოიშუშოს:

– მინდა, მოედანზე მალე დავბრუნდე, მაგრამ მესმის, რომ ამის გაკეთება ჯერ არ შეიძლება. რეალი ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ ჩემთვის რთულია მათი თამაშების გულშემატკივრის რანგში ყურება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## გიორგი კეკელიძე: „ვულოცავ ევროპას ნაბიჯს ჩვენკენ!“



მწერალსა და პოეტს გიორგი კეკელიძეს მიაჩნია, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროპის მიერ საქართველოსკენ გადმოდგმული ნაბიჯი უფროა, ვიდრე პირიქით – საქართველოს მიერ ევროპისკენ დაგადგმული ნაბიჯი:

– ვულოცავ ევროპას ნაბიჯს ჩვენკენ. ვულოცავ საქართველოს ევროპის ნაბიჯსაც. ხოლო სინამდვილე უფრო ეს არის: ჩვენ არსად მივისწრაფით. ჩვენ ვართ ევროპა. უბრალოდ, საქართველოში კულტურული გეოგრაფია იბრუნებს საკუთარ საზღვრებს – ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, წვალებითა და წინააღმდეგობით, მაგრამ მაინც.

ევროპა არის ანტიკურობის იდეა ჩვენს მიწაზე, არის მირიან მეფის არჩევანი თხოთის მთაზე ქრისტიანობის სასარგებლოდ, არის ეგრისის კრების დასკვნა, იოანე პეტრიწის ფიქრი, გრიგოლ ხანძთელის შრომა, დავით აღმაშენებლის ღვაწლი, თამარ მეფის ქვეყანა, „ვეფხისტყაოსნის“ აზრი და მისი მთავარი მეტაფორა – სამყაროს ცენტრში მდგომი ადამიანი, გურამიშვილის ოცნებები, სულხან-საბა ორბელიანის გზის გეზი, ერეკლე მეფის ჭრილობები, სოლომონ დოდაშვილის სიბრძნე, ბარათაშვილის გენიალური დარდის ვექტორი, დიმიტრი ყიფიანის გული, ილია ჭავჭავაძის გონება და ნებელობა, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“, ნიკო ნიკოლაძის გეგმა, ამბროსი ხელაიას სიჯიუტე და კირიონის ქადაგება, ექვთიმე თაყაიშვილის მოთმინება, გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ზომა და ცისფერყანწელების ვარდის სამყენი, ეკატერინე გაბაშვილის გამბედაობა და ხუთი ქალი მეოცე საუკუნის ქართულ პარლამენტში, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბრძოლა, ცხრა აპრილის სისხლი.

ყველაფერი, რაც იყო და რითიც ვამაყობთ – უდრის საქართველოს უპირველეს ყოვლისა, ხოლო თვითონ საქართველო უდრის ევროპული საზღვრის გარდაუვალ წევრობას.

ჰოდა, ვულოცავ ევროპას ნაბიჯს ჩვენკენ. ვულოცავ საქართველოს ევროპის ნაბიჯსაც.

## ეკა კვალიაშვილი: „არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებიც შინაგანად „ბომჟები“ არიან“



**ეკა კვალიაშვილი:**

– არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებიც შინაგან დ იმდენად „ბომჟები“ არიან, რომ საუკეთესო პირობებიც რომ შეუქმნა, ყველაზე ბანძ მდგომარეობას მოძებნიან და იქ იპოვიან კომფორტის ზონას. მაგალითად, დამოკიდებული არსება ნებისმიერ რამეზე არასდროს მოიშლის ამ დამოკიდებულებას, იმიტომ, რომ საბომჟეთში კარგადაა, რადგან ეს მის დამოკიდებულ სიბანძეს შეესაბამება, საუკეთესო პირობებში, ყველაზე ბანძ სიტუაციას მოძებნის და არავის ხათრით, არც ყველაზე ძვირფასის, არც საკუთარი თავის ხათრით, არ ეცდება მიატოვოს ეს დამოკიდებულება და შეიცვალოს ცხოვრების სტილი! ასეთი ადამიანები არაფრის ღირსნი არ არიან.

## ოთარ იოსელიანი გარდაიცვალა



89 წლის ასაკში რეჟისორი ოთარ იოსელიანი გარდაიცვალა. არაერთი უნიკალური ფილმის ავტორი საფრანგეთში ცხოვრობდა.

მისი ფილმები მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. რეჟისორის დებიუტი შედგა მცირემეტრაჟიანი ფილმით „აპრილი“, რასაც მოჰყვა დოკუმენტური ფილმი „თუჯი“. ფილმში მან აღწერა მეტალურგიული კომბინატის მუშაობის ერთი დღე.

პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „გიორგობისთვე“ კი ნამდვილი კლასიკაა. ამ ფილმისთვის ოთარ იოსელიანმა კანის კინოფესტივალის სპეციალური კინოპრესის ჯილდო და ჟორჟ სადულის პრიზი დაიმსახურა საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის. ამ ფილმში შედგა მსახიობ გოგი ხარაბაძის დებიუტიც.

ოთარ იოსელიანის ფილმები „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, „მთვარის ფავორიტები“, „ყაჩაღები. თავი VII“, „და იყო სინათლე“, „ყაჩაღები. თავი VII“, „შანტრაპა“ ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალების პრიზების მფლობელი გახდა. რეჟისორი ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან ქართველ რეჟისორად აღიარეს, რომლის კარიერაც მოიცავს მოღვაწეობას საქართველოსა და საფრანგეთში. სანამ კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩააბარებდა და ალექსანდრ დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის მოსწავლე იქნებოდა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაშიც ისწავლა და მათემატიკასაც შეეჭიდა, რამაც გავლენა მოახდინა მის კინოხედვაზე, კინოგრძნობასა და სტილზე. ის თავდაპირველად მუშაობდა მემონტაჟედ, შემდეგ იღებდა მოკლემეტრაჟიან მხატვრულსა და დოკუმენტურ ფილმებს. მისი ნამუშევრები უნიკალური იყო სტილითა და ფორმით დოკუმენტურსა და მხატვრულ კინოს შორის, თუმცა, საბჭოთა კავშირიდან მათი საზღვარგარეთ გატანა წლების განმავლობაში იბლოკებოდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ოთარ იოსელიანი საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა და იქ განაგრძო კინოკარიერა. მისი პირველი ფრანგული ფილმი „მთვარის ფავორიტები“ ვენეციის კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა და მას შემდეგ, ვენეციაში უჩვენებდნენ მის ყველა ფილმს. 2002 წელს ოთარ იოსელიანმა მოიგო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი“ საუკეთესო რეჟისურაში, ფილმისთვის „ორშაბათი დილა“. მისი ფილმი „შანტრაპა“ იყო საქართველოს ოფიციალური კანდიდატი „ოსკარის“ საუკეთესო უცოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის.

## გივი გაჩეჩილაძე საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის მინიჭებისადმი მიძღვნილი კონცერტით უკმაყოფილოა



თბილისის ბიგ ბენდის ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის მინიჭებისადმი მიძღვნილი კონცერტით უკმაყოფილოა:

– კონცერტით ძლიერ გაწბილებული დავრჩი. ასეთი უგემოვნო არაფერი მინახავს. სცენაზე გამოვიდნენ ქვეყნის ხელმძღვანელები და მრავალათასიან საზოგადოებას ამცნეს ისტორიული მონაპოვარი, საუკუნეების მანძილზე არაქრისტიანულ ანკლავში, გადარჩენის ტოლფასი გადაწყვეტილება, რაც საყოველთაო სიხარულისა და ზეიმის მიზეზი გახლდათ.

ადრეც შემიმჩნევია უგემოვნო, არალოგიკური, არაპროფესიონალური კონცერტები, მაგრამ ამან ყველა ზღვარს გადააჭარბა.

ვის ხელშია ამგვარი ღონისძიებების ჩატარება? თუ ერთი წამყვანი, ავტორიტეტი „ტვინი“ არ გვყავს, იქნებ კომუნისტებისდროინდელი „სამხატვრო საბჭო“ დაგვებრუნებინა, სადაც ყველა თავის აზრს აფიქსირებდა და საერთო „კოლქტიური“ აზრით გვემუშავა. ყოველ შემთხვევაში, რაც მე ვნახე, კომუნისტურ კონცერტებს ვერაფრით ჯობნიდა. საით მივდივართ ან რით მივდივართ ევროპაში? ამ კონცერტით? გარდა ფოლკლორისა, ვინმე მოისმენს?

## უტა ბერიას უარის მიუხედავად, მისი ფილმი კინოთეატრმა მაინც აჩვენა



რეჟისორმა უტა ბერიამ ეროვნულ კინოცენტს თავისი ფილმის „უარყოფითი რიცხვები“ „თანამედროვე ქართული კინოს“ რეტროსპექტივის ფარგლებში ჩვენება აუკრძალა, თუმცა, ფილმი მაინც აჩვენეს.

**უტა ბერია, რეჟისორი:**

– 450 კინემატოგრაფისტი თვეების მანძილზე ვითხოვთ კინოცენტრის დამოუკიდებლობას. სამინისტროსგან არ გადმოდგმულა არცერთი კონსტრუქციული ნაბიჯი, რის გამოც უარი განვაცხადე კინოცენტრის მიერ ორგანიზებული „თანამედროვე ქართული კინოს“ რეტროსპექტივის ფარგლებში ჩემი ფილმის ჩვენებაზე.

ავტორების უარის მიუხედავად, „უარყოფითი რიცხვები“ რეტროსპექტივის ფარგლებში მაინც გაუშვეს, მაყურებელი შეცდომაში შეიყვანეს და 1 თვის წინ ოფიციალურად, წერილობითა და საჯაროდ განმარტებული უარის შემდეგ, ფილმის ავტორებისგან ფარულად, მაინც გაუშვეს ფილმი, რაც შემთხვევით აღმოვაჩინე. ამის გამო, ჩვენების შეწყვეტა და მაყურებელთან ბოდიშის მოხდა მომიწია.

პასუხისმგებლობა მომხდარზე ჩვენების ორგანიზატორებს ეკისრებათ. საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, შეურაცხმყოფელია, რაც ჩაიდინეთ ფილმის ავტორებისა და მაყურებლის წინაშე.

ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფილმის მაყურებლამდე მიტანას, „უარყოფითი რიცხვები“ არაერთხელ იყო ნაჩვენები საჯაროდ.

ამიტომ, კინოსახლში ფილმის ჩვენებაზე მისულ მაყურებელს, ვეპატიჟები სამშაბათს, 19 დეკემბერს, ეზოტოპიაში, ფილმის ჩვენებაზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 3. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 4. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 9. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 13. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 14. ყალბისმქნელი, მატყუარა ადამიანი; 15. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 17. გემი, რომლითაც ჩარლზ დარვინმა მსოფლიოს შემოუარა; 18. ჭაობის ორთქლი; 20. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში.

**თარაზულად:** 1. ზებუნებრივი ძალის რწმენა; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 10. ბოსტნეულის მავნებელი მატლი; 11. საშემოდგომო ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 12. ალ. მაკედონელის კარზე მოღვაწე მოქანდაკე, მხატვარი; 16. დიდი ციმბირული ირემი; 17. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 19. უკრაინის პარლამენტი; 21. ილუზიონისტის ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 22. ერთად აკინძული სურათების, ნახაზების, ილუსტრაციების კრებული; 23. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 24. მხარე ავსტრიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

